

რევიუ

№4 (67) 1.04.2015 - 1.05.2015 ვარს: 2 ლარი

არაელტენციური გამოცემა

ქართული აღსდგა!

სამართლი
წილი

ჭრის აღსდგა!

ვ. 22




მიზანი ელია ჯოსეპი
დარიალი კართველი
აღასრულავის

ვ. 8



სამართლი
დავით კარაციანი
მიზანი მოძალა

ვ. 19



ზურ
ბერებალი
ვიქტორი
სალეგოვარდ

ვ. 34



გალა ვაშავალი
ესთონია
განერაზოვან
მოხედვი



დავარუზ
მარი ტარიალ
კარაციანი
ლომინი
გაფორმები
სალეგი

ვ. 28

ურალ „რაჭელები“

კუმანიტარული აქცია ამბროლაური



15541512-1500
9 771512150002



HOLLYWOOD

**ქალითური
კენის კაბრინინის
ეცოცოვონისში**

კალიფორნიაში საერთაშორისო კინო ფესტივალზე ქართულმა ფილმმა „ბაბუს მევალე“ Award of Merit პრიზი მოიგო. ფილმის რეჟისორი და სცენარისტი ახალბედა რეჟისორი და შემგარი პოლივულის მსახიობი ბექა სიხარულიძეა.

19 წლის სამშობლოდან ნავიდა. თავიდანვე ლამაზი იყო, შველივით, მოხდენილი, ძლიერი, მშრომელი და მიზანდასახული. ბავშვმა პოლივულში ფეხი მოიკიდა, ნელ-ნელა ცხოვრებაც მოიწყო და საკუთარი ბიზნესიც შექმნა. შემდეგ სწავლას მიჰყო ხელი, გენები მეტად გააქტიურდა და საუკეთესო მსახიობიც გახდა. პოლივულში 9 ფილმში ითამაშა, მოგვიანებით რეჟისორობა მოინდომა. შესაფერისი განათლებაც მიიღო და ძალები მშობლიურ ქვეყანაში მოსინჯა, მამის, გივი სიხარულიძის ნოველის მიხედვით სცენარი დანერა და მოკლემეტრაჟის ფილმიც გადაიღო. აი ასე შედგა მისი სადებიუტო ფილმი. ფილმში მოთხოვილია ამბავი მატყუარა და აფერისტ ადამიანზე, რომელიც გარდაცვლილი ადამიანების ოჯახებში მიდის, მათ მეგობრებად ასაღებს თავს და ჭირისუფლებს უცხადებს, რომ მიცვალებულს მისი ვალი ჰქონდა.

მთავარ როლებს ასრულებენ: ლიკა ქობულაძე, ცოტნე ნაკაშიძე, თავაჯ ბექა სიხარულიძე და დონარა გვრიტიშვილი. მუსიკა ფილმისთვის კომპოზიტორმა ნუნუ გაბუნიამ დანერა.

ფილმი კინოფესტივალზე ნარდგენამდე შეაფასეს რეჟისორებმა საქართველოში (ბუბა ხოტივარი) და პოლივულში. მისმა მასნავლებელმა ფილმის ნახვის შემდეგ მონაცეს შემოქმედება შეუქოდა უთხრა; მე ამაზე უკეთესად ვერ გადავიღებდიო. ბექას პოლივულური დღეები ერთმანეთზე უფრო ნარმატებულია, ის ხომ პოლივულში საქართველოს სახეს ნარმოადგენს.

გამარჯვებებს კუსურვებთ ახალგაზრდა ნიჭიერ შემოქმედს და გზას დავულოცავთ შემდგომი ნარმატებისაკენ.



ბექა ბერი მოქმედი წესებიდან

ბექა ბერი

უშროესი „რაჭველები“

გადაცყვითა სააღდგომოდ

ონის მუნიციპალიტეტის

თითოვაულ თავში სოფიალურად დაუცველი ადამიანებისთვის

სააღდგომო ამანათები გაეჩივა. აა კათილი საძმის

გხარდამზარები აღმოჩენის გულიანი ადამიანები, რომელიც აღ

უყოფასოდ მიიღას რაჭაცილის ნინაშადება და მხარე

დაუდგინე კათილი საძმის გაცემისთვის.

აკციაში მონაცემები აიროვებების შესახებ

იცოდებიან შემდეგ ცოდნები გაგაცემით.



სარჩევი

	ბზობა	2		სანამ ვიცოცხლებ, დავდგები მეხად	
	ბზობა-ბაიაობა			ლეილა გაფრინდაშვილი..... 21	
	საქართველოში.....	2		ღმერთმა კურთხევა	
	ხარება	4		ალასრულებინა 22	
	წითელი პარასკევი.....	5		ლირსეული მოძღვარი დეკანოზი	
	ქრისტეს აღდგომის			მამა ტარიელ კერესელიძე..... 28	
	ბრწყინვალე დღესასწაული	6		პაშა ტომარაძის	
	საიმედო კაცი			ცხოვრების გზა..... 29	
	დავით კერესელიძე.....	8		ოთარ კობერიძე — კადრსა და	
	არა მარტო ქვაზე დადებული			კადრს მიღმა..... 30	
	მადლი...	14		ამბროლაური სრულიად	
	ჟურნალ „რაჭველების“ სარვა-			საქართველოს ამცნობს..... 32	
	მარტო აქცია ამბროლაურში.....	16		ბელა მეტრეველის ესთეტიკური	
	ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები	31		გინეკოლოგის ცენტრი..... 34	
	მეუღლის სურათთან — გივი			ლები - დიდება ბრძანეს აკვანი	
	სიხარულიძე	18		ტრადიცია, კულტურა და	
	ფიქრი სააღდგომოდ, საქართ-			ეთნოგრაფია	36
	ველოში არ ყოფნის გამო	19		აღდგომა რაჭაში	40

მთავარი რედაქტორი —
ნინო რახევიაშვილი
 ტელ: 599 74 68 10
 დამფუძნებელი —
პონა გურაშვილი
 ტელ: 599 53 58 94
 კომპიუტერული უზრუნველყოფა
დალი ჯვარშვილი
 ტექსტი ააწყო
 თამარ გოგიაძეამ
 მისამართი: თბილისი, ლესელიძის
 ქ. №27, მე-2ს., 790 74 68 10
 ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

ჟურნალი “რაჭველები” ემიგრანტ
 რაჭველებს და არა მარტო მათ,
 გთავაზობთ თანამშრომლობის პროექტს –
 გამოვიგზავნეთ მასალები, ფოტოსურათები,
 რითაც შეძლებთ მოეფეროთ თქვენს
 მონატრებულ ქვეყანას, ოჯახებს და ამავე
 დროს მხარში დაუდგეთ ჟურნალს.

ტელ: 599 74-68-10

ძვირფასო მკითხველო!
 გაცნობეთ, რომ რედაქციაში შემოსული მსალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. რაც შეეხება
 სარეკლამო ტექსტს, მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.


ჟურნალში მასალების განთავსება ფასიანია!



იესო ქრისტე სახედარზე ამხედრებული შედის იერუსალიმში, ხალხი ეგებება, პალმის ტოტებს უფენს და შესძახის: „ოსანა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, მეუფე ისრალისაც!“ (იოანე, 12,13). თითქოსდა ქრისტიანობა დღესასწაულობს – ქრისტეს ეთაყვანება წმინდა ქალაქი,

მთელი ხალხი აღტაცებით ხვდება მას. მაგრამ სულ მალე გახდება ცხადი, რომ ვისაც ელოდნენ, ის თურმე არ სჭირდებათ – ელოდნენ პოლიტიკურ ბელადს, ვინც მათ გაათავისუფლებდა მიწიერი მტრისგან - ოკუპანტი რომაელებისაგან, და არა გაცილებით საშიში მტრისგან – ეშმაკისაგან. ამიტომ, ბრძო, რომელიც დღეს იძახის: „ოსანა ძესა დავითისას“, ხვალ დაიძახებს: „ჯვარს აცუ ეგე!“

იერუსალიმში შესვლისას, იესო, პირველ ყოვლისა, ტაძრიდანგამოყრისყველამყიდველსადაგამყიდველს, ააყირავებს მეერმეთა ტაბლებს და მტრედებით მოვაჭრეთა მერხებს. თანაც მეცარად განმარტავს საკუთარი საქციელის მიზეზს: „ჩემი სახლი სალოცავ



სახლად იწოდება; თქვენ კი ყაჩალთა ბუნაგად გიცცევიათ იგი“ (მათე. 21:13). ამის შემდეგ იესო კურნავს უსინათლოებსა და ხეიბრებს.

ბზობის დღესასწაული
სიმბოლოა, ერთი მხრივ, იესო ქრისტეს მისი აღიარების, მეორე მხრივ – ნინარე სახეა ადამიანის ძის სამოთხეში შესვლისა. ის, რომ

მაცხოვარი შედის ჩალაში ვირზე ამხედრებული, გულისხმობს მშვიდობის და არა მიმს, მოსურნეობას (სიმბოლურად ვირზე ამხედრება – მავიღობის ნიშანია, ცხენება – რომისა).

მწუხრის ლოცვაზე დამსწრე მორწმუნენი ბზებით, ყვავილებით და ანთებული სანთლებით ხელში, მიესალმებიან უხილავად იერუსალიმს მომავალ მაცხოვარს, როგორც ჯოჯოხეთისა და სიკვდილის დამთრუნველს. ცისკრის ლოცვისას ბზის ტოტები, რომელიც ხელში უჭირავთ მორწმუნებებს, იპკურებიან ნაკურთხი წყლით. მართლმადიდებელი ქრისტიანები ნაკურთხ ბზის ტოტებს მთელი წელი ინახავენ და მათ ხატების მოსართავადაც იყენებენ.

ბზობა-ბაიარბა საქართველოში

ბზობა, იგივე ბაიაობა ათოორმეტ ქრისტიანულ დღესასწაულს განეკუთვნება. ბზობა მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლის აღსანიშნავად იდღესასწაულება, როდესაც იესო ქრისტეს იერუსალიმში ხალხი პალმების რტოებით, ფეხებზე გაგებული სამოსითა და მადიდებელი შეძანილებით – ოსანა მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა – შეეგება. იმ კურთხეულში თუ ქრისტიანულ ქვეყნებში, ხადაც პალმა არ ხარობს, ადგილობრივ დადგენილი ტრადიციის მიხედვით სადღესასწაულოდ ის მცენარე იხმარება, რომელიც გაზაფხულზე ამ დროს იქ ხარობს.

ბზობა-ბაიობა, როგორც ეს საეკლესიო კალენდრის მიხედვითაა დადგენილი, აღდგომის წინა კვირას მთელ საქართველოში იდღესასწაულება.

დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიციების

შესახებ გვესაუბრება ნიმო ღამპაშიძე (ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი):

რაჭა-ლეჩეუმაში ეს დღე უქმე იყო. მიდიოდნენ ეკლესიაშიდაიქიდანმოჰკონდათბზა. სახლშიმოტანილ ბზას თავზე შემოივლებდნენ და ნაკვერჩლებზე დადებდნენ. თუ აპრილდებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ბზის პატრონი დიდხანს იცოცხლებდა, თუ მალე ჩაქრებოდა – ცოტა ხანს (ლეჩეუმი). რაჭაში ცეცხლში ჩაგდებული ბზა თუ ცეცხლის აღში ორჯერ ან სამჯერ წაღმა დატრიალდებოდა, ეს კარგი წელიწადის მომასწავებელი იყო, თუ უკულმა — ცუდის.

სვანეთში ბზობის საღამოდან მთელი მომდევნო კვირის ანუ ვნების კვირის განმავლობაში ლიროკინალი ანუ ბოროტი ძალის განდევნა იწყებოდა. ბზობის საღამოს ყველა ოჯახის უფროსს ტყიდან

ეკალი მოჰქონდა, რომლის ტოტებს კარის ქვეშ, ყველა ფანჯარასა და ნახვრეტში დებდა, რათა სახლში ბოროტი ძალა არ შესულიყო. ლიროკინალის წესი ამგვარად სრულდებოდა: ოჯახის უფროსი ხელში იღებდა პატარა ნაჯახს, დანარჩენი ბავშვები და მამაკაცები მუგუზალს და გამორბოდნენ გარეთ, თან იძახდნენ: “ფუი! უწმინდურო ძალაო, დაგენვათ ფრთები! შეგიცნობთ და გამოგარჩევთ ისევე, როგორც შავ ცხვრებს თეთრებისაგან. თქვენ შესახებ ხსოვნა თორმეტი მთის იქით. წმინდა გიორგის ბეჭდით ხართ დაბეჭდილები; ლითონის იარაღით ხართ დაჭდევებულები. აიღეთ კბილებით ქვის ფილა, ჩვენთან კი ჯვრისა ძალაა! ქვიშისა და ქვის ფილის გარდა სხვა არავითარი საჭმელი არ გქონდეთ!” ამის შემდეგ ოჯახის უფროსი ნაჯახის ყუას ურტყამდა ქვას და ამბობდა: „და აქციეთ ქვად თქვენი მომავალი!“ დანარჩენებიც იმავეს იმეორებდნენ და აკეთებდნენ. ბოროტი ძალების განდევნის ამ წესს ყველა ოჯახი ვნების ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს ასრულებდა.

სავათის ყველა სოფელში ბზობის საღამოს გოგონები უკაცრიელ სახლში იკრიბებოდნენ და მლეროდნენ ე.წ. ლიგლოვი – კრირიელოს (კირიე ელეისონს): „ქრისტე! მიუტევე ცოდვები ჩემ გარდაცვლილს (დაასახელებდნენ) და დღეგრძელი და ყველა საქმეში წარმატებული ამყოფე ჩემი ნათესავი (დაასახელებდნენ) და ოჯახის წევრი (დაასახელებდნენ)“. თითოეული გოგონა ჩამოყვებოდა და მოხსენიებდა თავის მიცვალებულებს და ცოცხლებს, დანარჩენები კი მასთან ერთად იმეორებდნენ. გარეშეს, ვისაც ლიგლოვაში მისანების მოხსენიება ენდომებოდა, როგორც ცოცხლების ასევე მიცვალებულების, მომდერლებისთვის კაკალი ან მარილის ნატეხი უნდა მიეცა, თითქოსდა იმის გამო, რომ მაცხოვარს მათი ლოცვები შეესმინა. გოგონები ვნების კვირაში, ოთხშაბათ-პარასკევის გარდა, ამ წესს სიმღერის გარეშე ასრულებდნენ. ხალხის რჩმენით ამ დღეებში არ ვარგოდა სიმღერა.

სახაგრელოში ბზობა-პაიობას ბაიას ყვავილს, რომელიც ფერის გამო ხალხისთვის მზესთან იყო ასოცირებული, სახლში, იატაკზე წრიულად დააფენდნენ და ზედ კვერცხებს გადააგორებდნენ. ამ კვერცხებს სააღდგომოდ აუცილებლად შეღებავდნენ. ბზობას ამზადებდნენ ფხალეულს, რომელშიც ბაიას ყვავილს აუცილებლად გაურჩევდნენ. სწამდათ, რომ ფხალეულისშექმისშემდეგმთელინლისგანმავლობაში ენერგიით სავსენი იქნებოდნენ. ბზობისთვის ასევე უნდა ეჭამათ თევზი. ეკლესიაში კურთხევის შემდეგ ბზა სახლში მოჰქონდათ. მას მიცვალებულსაც უდებდნენ საფლავზე და ერთმანეთსაც ჩუქნიდნენ. ზოგან მამაკაცები იკრიბებოდნენ და ბზებით ეკლესიას სიმღერით გარს უვლიდნენ. ისინი ბზას ეკლესიაში



მისულ ხალხს ჩუქნიდნენ.

მასეთში ბზობას ქალებს მინდვრიდან თოვლი მოჰქონდათ და გზაში ჭამდნენ, შინ კი ოჯახის წევრებს და საქონელს გადააყრიდნენ, თან ამბობდნენ: „ბზო, ბზო, ბუზებო, აქაურობას მოშორდით“. ხალხს სწამდა, რომ ამ წესის შესრულების შემდეგ ბუზები მათ აღარ შეაწუხებდნენ.

კახეთში ბზობას ხალხი ეკლესიაში მიდიოდა. ბზა ზეთისცხების შემდეგ სახლში მოჰქონდათ. აქაც თვლიდნენ, რომ თუ ბზას ბევრი მარცვალი ჰქონდა, პურის უხვიმოსავალი ექნებოდათ, თუ არა და პირიქით. ბზობას კახეთში მიცვალებულებისთვის წანდილს ხარშავდნენ, აკეთებდნენ ზურგიელს. კახეთში სწამდათ, რომ თუ ზურგიელს არ შეჭამდნენ, მათი მიცვალებულები საიქიოში წყალს ვერ დალევდნენ. მათ წყალთან არ მიუშვებდნენ. ეკლესიიდან ბზა რომ მოჰქონდათ, ერთმანეთს დაარტყამდნენ, თან გაულექსავდნენ:

„აჲა, ჟვარ ბზა, გვერიოს გზა,
მიტრიალდი, მოტრიალდი,
გაოხრდი და გატრიალდი.“

ხალხი ცდილობდა მთელი დღის განმავლობაში ყვავი არ დაენახა: ყვავი წინილას აღარ შეჭამს. ხალხში ასეთი გამოთქმა არსებობს: „ბზობის ყვავივით გაქრაო“, რაც ვისმეს ერთბაშად გაუჩინარებას ნიშნავს. მთელი ზამთრის განმავლობაში ყვავი სარჩის საძებნელად სოფელს დასტრიალებს. ხალხის დაკვირვებით გაზაფხულზე, რომლის დადგომასაც იგი ბზობას უკავშირებდა, ყვავები სოფლის მახლობელ ტყეებში მიფრინავენ, სადაც საკვებს უხვად პოულობენ, ბზობის შემდეგ კი სოფელში იშვათად ჩანან.

კახეთში ბზობას საქმის კეთება იცოდნენ, – ყველაფერი ბარაქიანი იქნებათ. უფრო: სიმინდს, ლობიოს, კიტრს თესავდნენ – ბზასავით დაისხამსო. კახელებმა კარგად იცოდნენ, რომ ხარება და ბზობა შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს, შესაძლოა, ხარება წინ უსწრებდეს ბზობას, ან პირიქით. იმ შემთხვევაში, თუ ხარებობა ბზობას მოსდევს, ხალხის თქმით თევზით არ ხსნილდება, რაც საეკლესიო ტიპიკონს სრულად შეესაბამება.



რა უხერხულობა წარმოვა ქალცულის ფასძიმობაზ და როგორ აუსინა ყოველივე ეს მთავარანგელოზეა იოსებს

ხარება ერთ-ერთი საუფლო დღესასწაულია ქრისტიანულ ეკლესიაში. უძრავი დღესასწაული ძველი სტილით 25 მარტს აღინიშნება, ახალი სტილით კი - 7 აპრილს.

ხარება სახარების მიხედვით, გაბრიელ მთავარანგელოზმა ახარა ქალწულ მარიამს, რომ ის შობდა მესიას, იესო ქრისტეს.

რამდენადც ხარება დაკავშირებულია ქრისტეს დაბადებასთან, ამდენად, ის არის კაცობრიობის ხსნის დასაბამი.

ხარების დღესასწაულის შესახებ წმ. გიორგის სახელობის ტაძრის დეკანოზ კონსტანტინე ჯინჭარაძეს ვესაუბრეთ:

„ძველი აღთქმის კაცობრიობა ელოდებოდა მესიის გამოჩენას სწორედ იმ პერიოდისათვის, როდესაც ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე განკაცდა.

უამრავი წინასწარმეტყველება იყო ძველ აღთქმაში. ალბათ, განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ისაიას წინასწარმეტყველება, რომ ქალწულისაგან იშვებოდა უფალი ჩვენი იესო ქრისტე არა ბუნებრივი გზით, არამედ სულინმიდის მადლით.

ყოვალდწმიდა ღვთისმშობელი ტაძარში იზრდებოდა და მისი ცხოვრება ლოცვით, მარხვითა და კეთილი საქმით იყო გაჯერებული. ის ყოველთვის ნატრობდა, ღმერთს მიემადლებინა მისთვის იმ ქალწულის მსახურება, რომელიც შობდა მაცხოვარ იესო ქრისტეს. აი, ასეთი თავმდაბლური თხოვნა ჰქონდა მას ღვთის მიმართ.

გაბრიელ მთავარანგელოზის ხარება, რომ ის იქნებოდა ქალწული, რომელიც შობდა მესიას, წმიდა მარიამისათვის გასაოცარი იყო. გასაოცარი არა იმიტომ, რომ ანგელოზი იხილა. ჯერ კიდევ ტაძარში მსახურების დროს ხშირად მოდიოდა მასთან ანგელოზი, რომელთანაც სულიერ კავშირში იყო. მაგრამ ღვთისმშობელს აკვირვებდა მეორე რამ: როგორ შეიძლებოდა ეს მასში მომზდარიყო, როგორც ქალწულში? და როდესაც ანგელოზმა უთხრა, რომ ეს სულინმიდისაგან იქნებოდა, მაშინ მარიამმა მიუგო: „აპა, მხევალი ღვთისა, იყოს ნება ღვთისა ჩემზედა”.

ქალწული მარიამი მიდის თავის ნათესავებთან



- ელისაბედთან და ზაქარიასთან, წმიდა იოანე წინასწარმეტყველის მშობლებთან, რადგან სურს, გაუზიაროს თავისი შინაგანი, სულიერი ხედვა და დამოკიდებულება. ცნობილი სახარებისეული სიტყვები მინდა მოვიყვანო. როდესაც ელისაბედი შეხვდება მას, პირდაპირ ეუბნება: „კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა”.

აյ არის კიდევ ერთი გარემოება გასათვალისწინებული. იოსები იყო დაწინდული ყოვლადწმიდა ღვთისმშობელზე და არა - დაქორწინებული. იოსები ასაკოვანი გახლდათ.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ჰქონდა აღთქმა დადებული ღვთის წინაშე, რომ არ გათხოვდებოდა და თავის ცხოვრებას ღმერთს შესწირავდა. როგორც აღთქმის დამდებ ადამიანს, უნდა შეესრულებინა სიტყვა, მაგრამ მეორე გარემოება გახლავთ ის, რომ ძველი რჯული კრძალავდა ქალწულებრივ ცხოვრებას. ქალი აუცილებლად უნდა გათხოვილიყო. ამიტომ ერთიცა და მეორეც რომ დაეცვათ, გადაწყვიტეს, ქალწულებაც შეენარჩუნებინა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს და დაენინდათ კიდეც მოხუცებულ ადამიანზე, რომელიც, ფაქტობრივად, მისთვის არა - ქმარი, არამედ მზრუნველი და პატრონი იქნებოდა. თავდაპირველად იოსებმა არ იცოდა, რომ მარიამი სულისაგან წმიდისა იყო მიდგომილი.

ძველი სჯულის თანახმად, თუ ის გაიფიქრებდა, რომ მარიამმა უდალატა, ქალწულს ჩაქოლვის საფრთხე დაემუქრებოდა, მაგრამ იოსები დიდი სიყვარულითა და მზრუნველობით გამოიჩინდა მის მიმართ, ამიტომ ფარულად მისი განტევება განიზრახა, ვინაიდან მას ბრალი არ დასდებოდა ამ ცუდ საქმეში და ამით, პირიქით, დანაშაული თავის თავზე აიღო.

როდესაც გულთამხილავმა ღმერთმა დაინახა ეს ყოველივე, მასაც გაუგზავნა ანგელოზი, რომელმაც აუწყა, რომ მარიამის ფეხმძიმობა სულისაგან წმიდისა იყო და არა - კაცისაგან. მთავარანგელოზმა პირდაპირ დაავალა იოსებს, რომ ეზრუნა მასზე და მიეხედა, როგორც ამას იუწყებოდა წმიდა წერილი.

ამის შემდეგ უკვე იოსებში ყველა ეჭვი გაქარწყლდა

კურთხეულ არს ნაუოფი მუცლისა შენისა

და დაინტენტო სწორი სულიერი ცხოვრება მასთან ქალაქ ნაზარეთში, მოკრძალებულ სახლში.


იოსები დაკავებული იყო დურგლობით. მაცხოვრის შობის შემდეგ კი ის მზრუნველობით ზრდიდა უფალს ჩვენსას ისეო ქრისტეს, მასაც ასწავლიდა დურგლობასა და ყოფით საქმეებს.

ხარება იმდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რომ სწორები აა ხდება განახლება, გამოსყიდვა კაცობრიობის ცოდვებისა. ევამ შესცოდა ღვთის ნინაშე და საჭირო იყო ახალი ევას დაპატება.

წმიდა წერილი ბრძანებს, რომ ღვთისმშობელი ახალი ევაა. ადამის პირველქმნილი ცოდვა მთელ კაცობრიობას მოედო და საჭირო იყო გამოსყიდვა. განკაცებულმა ძე ღვთისამ, მეორე იპოსტასმა წმიდა სამებისამ, ინება მოსვლა დედამიწაზე ყოვალდებმიდა ღვთისმშობლის საშოდან და ფაქტობრივად, გამოგვისყიდა თავისი ცხოვრებით, ჯვარცმით, ალდგომითა და ამაღლებით ადამის ცოდვისაგან.

ხარების დღეს განსაკუთრებულად ზეიმობს ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანი.

ერთი ჯელიცა



უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულამდე ქრისტეს 3 დღე დარჩა. სწორები 3 დღით ადრე, პარასკევს ჟველა ქრისტიანის ოხახში კვერცხები წითლად იღებება და ზოგან პასკებიც ცხვება. ამ დღეს წითელ პარასკევს უწოდებენ, რადგან სწორები მაშინ ეცვა უფალი ქრისტე ჯვარს საკუთარი ხალხის განაჩენის მიხედვით და 3 დღის შემდგომ ბრწყინვალედ აღსდგა!

წითელი პარასკევი დიდი მარხვის ჟველაზე მძიმე დღეა. ამ დღეს ტაძრებში წირვა არ აღესრულება, რადგან ადამიანთა ცოდვებისგან გამოსახსნელად უფალმა საკუთარი თავი მსხვერპლად შესწირა. მსახურებისას სამეუფო უამნი შესრულდება, რომლის დროსაც უფლის ვნების შესახებ სახარება იკითხება.

რა კავშირია აღდგომასთან ნითელი კვერცხი?

არსებობს გადმოცემა, რომ ამაღლებამდე იესო ქრისტემ თავისი მოწაფეები სხვადასხვა ადგილებში დაგზავნა, რათა ადამიანებისთვის მისი აღდგომის შესახებ ეხარებინათ. საქადაგებლად გაეშურა მარიამ მაგდალინიელიც, რომლისგანაც მაცხოვარმა შვიდი ეშმაკი განდევნა და რომელმაც ღვთისმშობლის შემდეგ პირველმა იხილა მკვდრეთით აღმდგარი უფალი.

წმიდა მარიამი რომში ჩავიდა და პირდაპირ იმპერატორის სასახლეს მიაშურა. იგი ცნობილი პიროვნება იყო და ამიტომ დაუბრკოლებლად გაატარეს სასახლეში. მან იმპერატორ ტიბერიუსს საჩუქრად კვერცხი გაუწოდა და ახარა: „ქრისტე აღსდგა“. იმპერატორმა ქალს ეჭვით შეხედა და წამოიძახა: „როგორ შეეძლო მკვდარს აღმდგარიყო?! ეს ისევე დაუკერებელია, როგორც ის, რომ ახლა ეს კვერცხი განითლდეს“. სიტყვები ჯერ არ ჰქონდა დამთავრებული, რომ კვერცხი

მართლაც განითლდა. ამ დღიდან მოყოლებული ქრისტიანები აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს წითელი კვერცხებით ეგებებიან.

გარდა ამისა, კვერცხი მარადიული სიცოცხლის სიმბოლოა, რადგან მისგან ცოცხალი არსება იბადება, იესო ქრისტემ კი ადამიანებს სიცოცხლე მიანიჭა. წითელ ფერში სისხლი მოიაზრება, რადგან იესო ქრისტემ თავისი სისხლით სიცოცხლე განწმიდა და აურთხა.

როგორ შევლებოთ კვერცხი?

კვერცხის შეღებვის ტრადიციული საშუალებაა ენდრო. ერთი შეკვრა ენდრო კარგად გავრეცხოთ და დავჭრათ (ან დავჩეჩქვოთ), დავასხათ 1-1,5 ლიტრი წყალი, ჩაყარეთ 2-3 ხახვის გარეთა ფურცელი, 1 ჩაის კვიზი მარილი, დავდგათ ცეცხლზე და 15-20 წუთი ვადულოთ. წყლის ადულების შემდგომ გადმოვდგათ ცეცხლიდან და კარგად რომ გაცივდება ჩავანყოთ 20 კვერცხი (თუ ბევრს ერთად მოეხარშავთ, კარგად არ შეიღებება და შეიძლება დასკდეს კიდევაც). თუ წყალმა კვერცხი ვერ დაფარა, ჩავამატოთ, რამდენიც საჭიროა და 20-25 წუთი ვხარშოთ ნელ ცეცხლზე, შემდეგ ფრთხილად ამოვიდოთ და შეგვიძლია ცივ წყალში გადავაწყოთ ათიოდე წუთით (ასე გაციებული კვერცხი ადვილად გაიფცევნება). შემდგომ თუ გვსურს რომ კვერცხმა ბრწყინვალება მიიღოს, შეგიძლია ზემოდან ზეთი გადავუსვათ.

სასურველია თუ კვერცხს ჯეჯილზე დავაწყობთ. ჯეჯილის მომზადება ადრე უნდა დაიწყოთ სველ ბამბაზე ხორბალი უნდა დათესოთ მინიმუმ 2 კვირით ადრე.

ქრისტე აღმდეგა ბიბლიური ხატი



აღდგომის დღესასწაულის თარიღი მოძრავია.
წელს ქრისტეს აღდგომას 12 პრილს ვზემობთ.
აღდგომის დღესასწაულს წინ უძღვის დიდი მარხვა.

გარდამოხსნა „ჯვარცმული ქრისტე კლდეში გამოკვეთილ საფლავში დაასვენეს და ლოდი მიაგორეს, დაუყენეს მცველთა დასი. შუალამისას მოხდა დიდი მიწისძვრა და როგორც მახარებლები აღნერენ, იყო დიდი ნათელი. მცველები უგრძნობლად დაეცნენ. მოხდა უდიდესი სასწაული: ქრისტე აღსდგა! აქედან შეიძლება უკვე მივიჩნიოთ, რომ დაიწყო აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნა. შეშფოთებულმა სინედრიონის წევრებმა, რომლთაც უფალი გასცეს და მიუსაჯეს ასეთი სიკვდილი – ჯვარცმა და სატანჯველი, მოისყიდეს მცველები ფულით, რომ ეთქვათ, თითქოს უფალი კი არ აღსდგა, არამედ მისმა მიმდევრებმა

მოიტაცეს გვამი და ამაზე ისინი პასუხისმგებლები არ იქნებოდნენ, რადგან უფროსებთან უკვე მოლაპარაკებულნი იყვნენ.

მოგეხსენებათ, რომ ქრისტე ყოვლისშემძლე ღმერთია, რომელმაც იპოსტასურად მიიღო ადამიანური ბუნება – ქრისტე – ღმერთი, ქრისტე – კაცი, ანუ ჩვენი ბუნებრივი კაცობა და, მაშასადამე, აღადგინა ჩვენი მომკვდარი ბუნება, მოგვანიჭა დახსნა ჩვენი ცოდვებისაგან და აღსდგა”.

აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნას თანამე-დროვე სახე IV საუკუნიდან მიეცა. თავდაპირველად მხოლოდ ვნების დღეებს ზეიმობდნენ. ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ 325 წელს დაადგინა ზეიმის აღნიშვნა გაზაფხულის ბუნიობის (დღისა და ღამის თანასწორობა) მომდევნო კვირას, იუდეველთა პასექის დასასრულს.

„აღდგომის დღესასწაულის თარიღი მოძრავია. მითითებულია, რომ არ უნდა ემთხვეოდეს იუდეველთა დღესასწაულს და გაზაფხულის პირველი კვირიდან მთვარის განახლებამდე პერიოდში უნდა აღინიშნოს. ეს რამდენად მართებულადაა დადგენილი, ამას ზეციური ცეცხლის გადმოსვლაც მოწმობს.

ზეციური ცეცხლის გადმოსვლა უფლის სასწაულია. ეს მოვლენაც ისეთივე გუნებრივია, როგორც მზისა და მთვარის ამოსვლა დარჩასლა. ესარის უშუალოდ ლომის განგებულება და ზეგუნებრივი მოვლენა, რომ ყოველ აღდგომას ნიშნავ აღდგომის დღესასწაულის მოახლოებისა, იერუსალიმის აღდგომის ტაძარში ღრუპლის სახით ჩნდება ცეცხლი, რომელიც ელვისებურად გადმოდის ზეციდან და ყველა ჩამძრალი კანდელი ინთება. ამის შემდეგ შუალამიდან იმყენა აღდგომის საეკლესიო მსახურება და, ტიპიკონის განვითარებულებისამებრ, გრძელდება დილამდე.

ქრისტე აღსდგა

ყოველი ქრისტიანი აღდგომის დღესასწაულს ცოდვებისაგან განწმედილი უნდა შეხვდეს. უნდა დაიცვას მარხვა, თქვას აღსარება, ეზიაროს, შეეცადოს, საღმრთო რჯულის წესები დაიცვას, მისი სინანული იყოს ნამდვილი და არა – ზერელე, არ დაივიწყოს, რომ თვითონ ქრისტემ იმარხულა 40 დღე-დამე. დიდმარხვაში ბევრი ავადმყოფი ადამიანი განკურნებულა მარხვითა და ლოცვით. თუ პიროვნებას უფლის სიყვარული აქვს, მან არ უნდა ითიქროს თავის სნეულებაზე, რომ ვერ შეძლებს მარხვას, არამედ სწამდეს, რომ ქრისტე მიუძღვის მას მარხვით, ისიც ამგვარადვე უნდა შეუდგეს უფლისაკენ მიმავალ გზას, იმ რწმენითა და სიყვარულით, რომ მაცხოვარი მას კურნებასა და მშვიდობას მისცემს. დიდი მარხვის დასრულების შემდგომ კი იგი იგრძნობს, მასში რაღაც განახლება მოხდა და სიხარული დაიშვა, რომ ქრისტე წინ წარუდღვა და

დიდი ბრწყინვალებისა და ნათლის განცდა მიეცემა. როცა ეს დღესასწაული დიდი ზემით დასრულდება, ის ქრისტესთან და მის წმიდანებთან ერთად დიდი, წარუვალი და წარუშლელი სიხარულის მოწმე შეიქმნება.”

წესად დამკვიდრდა სასაფლაოზე აღდგომის დღეს, კვირას გასვლა, რაც მართებული არ არის. ამ დროს ადამიანს გლოვა არ შეშვენის. ყოველი ქრისტიანი საფლავზე მეორე დღეს, ანუ ორშაბათს უნდა გავიდეს, რათა მიცვალებულსაც ახაროს ქრისტეს აღდგომა.

ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს საფლავზე გასვლა ხალხის მიერ შემოღებული ტრადიცია, მაგრამ იქ მიცვალებულს არ იხსენიებენ, უბრალოდ ახარებენ, რომ ქრისტეაღდგა! მიცვალებულისათვის ლოცვა და პანაშვიდის გადახდა ამ დღეს არ არის მიღებული. მიცვალებულის მოხსენიება კი ხდება ერთი კვირის გასვლის შემდეგ, თომას კვირის სამშაბათს. ეკლესიაში აკეთებენ სააღდგომო საკურთხეს, სრულდება წირვა სააღდგომო წესით ტიპიკონის შესაბამისად და სააღდგომოპანაშვიდზე იხსენიებენ მიცვალებულებს და აკურთხებენ საკურთხეს.

აღდგომის დღესასწაული ერთი კვირის მანძილზე გრძელდება. ამ კვირას ბრწყინვალე შვიდეული ეწოდება. მისი თითოეული დღე განსაკუთრებული მაღლითაა აღსავსე და ყველა საეკლესიო წესს განსაკუთრებული ელფერი აქვს. წირვა-ლოცვა ამ კვირისათვის დამახასიათებელი რიგით სრულდება,

განსხვავებულია მიცვალებულის წესის აგებაც, ცვლილებაა ჩვენს ყოველდღიურ ლოცვებშიც. ამ კვირაში შემსუბუქებულია ზიარებისთვის მომზადებაც: მარხვის დაცვა არაა საჭირო, ხორცის მიღება ზიარების წინა დღესაც კი შეიძლება.

იცვლება მისალმების წესიც. აღდგომიდან 40

**ბრწყინვალე შვიდეულის ოშაბათს
საფლავზე გასვლა ხალხის მიერ
შემოღებული ტრადიცია, გაგრძელ
ება ასეთი ასაკი, უბრალოდ
ახარება, ჰომი ერთსტე აღდგა! მიწ-
ვალებულისათვის ლოცვა და კანალოდ
გადახდა ეს დღეს ასე მიღებული.
მიწვალებულის მოხსენიება კი ხდება
ერთი პირის გასვლის შემდეგ, თომას
პირის სამშაბათს.**

დღის განმავლობაში ქრისტიანები “გამარჯობის” ნაცვლად ერთმანეთს ახარებენ: “ქრიტე აღდგა!”

ბრწყინვალე შვიდეულში დილა-სალამოს ლოცვების მაგივრად სააღდგომო საკითხავებია დაწესებული. მათ უამნობა ეწოდება. ასევე, იკითხება სააღდგომო ძლისპირები, ან იგალობება, ვისაც გალობა შეუძლია. ეს მთელი კვირის განმავლობაში გრძელდება, შაბათიდან კი გადავდივართ ჩვეულებრივ ლოცვებზე, მხოლოდ „მეუფეო ზეცათაოს“ ნაცვლად იკითხება „ქრისტე აღდგა მკვდრეთით“ სამგზის და „ლირს არსის“ ნაცვლად „ანგელოზი დაღადებს“. ბრწყინვალე შვიდეულში აღარ იკითხება ფსალმუნები, თუ ჯგუფურად ასრულებენ ფსალმუნებს, შეუძლიათ გაგრძელება, რადგან მისი შეწყვეტა არ შეიძლება. სხვა შემთხვევაში ფსალმუნების კითხვას შაბათიდან განვაახლებთ.”

ამბობენ, ვინც აღდგომას, ან ბრწყინვალე შვიდეულში გარდაიცვლება, სასუფეველში მოხვდება, რადგან აღდგომისას დახშულია ჯოჯოხეთის კარი, სამოთხისა კი – პირიქით, გახსნილი და თუ უფალი ამ დღეებში ვინმეს გარდაცვალებას ინებებს, მათვის ღიაა სასუფეველი ცათა.

ყველას გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

**მათების ტარის
ნინამძღვანი გამა აკაკი მელიქიძე
ესაუბრა: თათია ნავროზაშვილი**

საიმპრეზო — დავით კაბესელიძე

სიკეთე სიკეთის ნიღ



„უფლისგან ჩევრი მოგვეცა და გევრიც მოგვეთხოვთა,
ღვთისთვის ყველაზე ღილი გლახაკთა და გაშირვებულთა
შენივანა და ცუგაშისცემაა...“ ბრძანებს უწმინდესი და უნეტარესი
ილია II, მართლაც რა არის იმაზე დიდი ბედნიერება, როდესაც შეგიძლია
შენი კეთილი ნებით ადამიანებს სიცოცხლე გაუხანგრძლივო, შენი
მიზეზით სხვამ ბედნიერება მინჯებულმა გაიღიმოს, ცხოვრების ტვირთი
შეუმსუბუქდეს. — არაფერი, ნამდვილად არაფერი! რომ არა ასეთი
ადამიანები, ამ გაუკულმართებულ დროის წისქილში ჩავარდნილთ რა
გვეშველებოდა, ის ჩვენ დაგვეხმარება, ჩვენ სხვას, სხვა სხვას და ასე
გადავარჩენთ ერთმანეთს. ესენი ღვთისგან ხელდასმული ადამიანები
არიან, ღმერთმა თითოეული მათგანი სიუხვისა და კეთილშობილების
მადლს აზიარა და უამრავ ადამიანს მოევლინენ მხსნელად.

ეს ადამიანი რაჭის წიალიდან მოდის. უყვარს მამა-პაპის საძვალე,
მინა, ჰაერი, წყალი, იქ არ გაზრდილა, მაგრამ სისხლის ყივილი
მოსვენებას არ აძლევს, ფიქრი მუდამ რაჭის კეთილდღეობისკენ
გაურბის. გიორგი კერესელიძისა და ლილი ქათამაძის ოჯახის გვარის
გამგრძელებელია, დავითი დაარქვეს.

გიორგი კაცურ კაცად ცნობილი, დამსახურებული ინჟინერი, საგზაო
სამმართველოს უფროსი, მუდამ სამართლიანი და რაჭის დიდი მოტრიულე
იყო. სწუხდა, რომ დიდმა წინაპარმა, გლახუნა კერესელიძემ რაჭაში მამულის
შენარჩუნება ვერ შეძლო, თუმცა მამის ტკივილს შვილმა უმკურნალა, მისი
ანდერძი ღირსეულად შეასრულა და კერესელიძებს დღეს კვლავ აქვს სახლ-
კარი რაჭაში. შვილი ოჯახის სარკეა, ბატონი გიორგის სული, გული, რწმენა
და მრწამსი — რომ რაჭა მისი ოჯახისათვის უპირველესი იყო, ღირსეულმა
შვილმა ერთი ათად შეისისხლხორცა და დღეს ბატონი დავითი რაჭველობაში
ტოლს არავის უდებს. დავითის დედა, ქალბატონი ლილი იმერელია, ტყიბულის
რაიონიდან, მაგრამ უსაზღვროდ უყვარს მეუღლის მმობლიური კუთხე, რაჭველი
ხალხი. ამაყობს თავის ოჯახით და ხარობს, როდესაც შვილების ბედნიერებას
ხედავს.

ბატონმა გიორგიმ და ქალბატონმა ლილიმ შვილები თბილ, სიყვარულით
გაულენთილ კერაზე გაზარდეს, უმაღლესი აკადემიური განათლება მისცეს,
დააოჯახეს და ერთ ფესვზე ამოზრდილი სამი ჯანსაღი ოჯაზი დღეს უკვე
ქვეყნის ღირსება და პატივია.

და მაინს ვინ არის დავით კერესელიძე? — აქამდე არ ვიცნობდი, გამიგია
სახელი და გვარი, მსმენია მისი კეთილბუნებოვნებისა და ქველმოქმედების
შესახებ... როგორც რედაქტორი დღემდე არაერთ რაჭველთან მინევს საუბარი,
მეხმარებიან, მხარში მიდგანან, შეთავაზების შემთხვევაში უყურადღებოდ
ნაკლებად მტოვებენ, მაგრამ ვინმე რომ მოსულიყო და ეთქვა, მე უნდა
დაგეხმაროთ, თქვენ ისეთ საქმეს აკეთებთ, ამას თანადგომა სჭირდებაო,
მსგავსი არასდროს მახსოვეს.


ერის კაცი



მშობლები: ლილი ქათამაძე და
გიორგი კერესელიძე

ერთ დღესაც ნომერი ავტოფე და ბატონი დავითი ვიკითხე. დედამ მიპასუხა, მობილური ტელეფონის ნომერი მომცა და დასძინა, თუ ვერ დაუკავშირდებით, დამირეკეთ და დაგეხმარებით.

—იცით რა? ასეთი რამ სხვა დროს არ ხდება. შეძლებულ ადამიანთა უმეტესობა უცნობ ზარებს არ პასუხობს ან პასუხს თავს არიდებს. დავრეკე თუ არა, დავითმა უმალვე მიპასუხა, ჩემი ვინაობა რომ გაიგო, გაეხარდა, აქმდეც უნდა დაგერეკათ, მე ისედაც მინდოდა თქვენთან მოვსულიყავი და უურნალს მხარში დავდგომოდიო.



დავით და ნატო კერესელიძე

აი, აქედან დაიწყო ჩვენი თანამშრომლობა. ბატონმა დავითმა თანადგომა აღმითქვა, აფერუმ თქვენს ვაჟკაცობას, ასეთი განწყობისა და შემართებისათვის, აფერუმ ქალბატონ ლილის ასეთი შვილის გაზრდისათვის.

როგორც შემდგომ გავიგე მისი პიროვნებისთვის აქ უჩვეულო არაფერია, ის სიკეთით ცხოვრობს, უსაზღვროდ უყვარს რაჭა და რაჭველები, ყველას ჭირისუფალია, უამრავ მადლს აფრქვევს, საიმედო და სანიმუშო მეგობარია, მისი ყველაზე დიდი ლირსება.

ოჯახია — დავით კერესელიძე ხუთი შვილის მამაა; ელენე, მარიამი, ლილიკო, ანასტასია, ვალერი. როგორ შეიძლება არ შევუქოთ ქალობა მეუღლეს, ქალბატონ ნატო კერესელიძეს, რომელიც ასეთი დიდი, ლამაზი და ჯანსაღი ოჯახის დედაბოძია. „დათო ჩემთვის ყველაფერია, საიმედო საყრდენი, უდიდესი სიყვარული, ერთგული მეგობარი“, — ამბობს მოსი-ყვარულე მეუღლე. დავითი არაჩვეულებრივი ძმაა, მშობლებმა შვილებს ერთმანეთის განსაკუთრებული სიყვარული ასწავლეს.

ბატონი დავითი ქველმოქმედი ადამიანია. მისი მეოხებით ელიას მთაზე მშენებარე სამების საკათედრო ტაძარს 300 ტონა არმირებული ფოლადი გადაეცა უსასყიდლოდ.

1992 წელს, აფხაზეთის ომის დროს თავდაცვის



შვილები : ელენე, მარიამი, ლილიკო და ანასტასია

სამინისტროს საჩუქრად გადაეცა აზერბაიჯანში შეძენილი სამხედრო კატარლა, რომლის მსგავსი მანამდე თავდაცვის სამინისტროს არ ჰქონია.

90-იან წლებში, როდესაც უმძიმესი სოციალური მდომარეობა იყო საქართველოში, ბატონი დავითი სამგორის რაიონში უამრავ სიკეთეს აკეთებდა. მან სკოლა ამავე რაიონში დაამთავრა. ამიტომ მისთვის



ვალერი და ანა კერესელიძეები
პატარა გიორგისთან ერთად



იქ ყველაფერი მშობლიურთან ასოცირდებოდა. სამგორელებს დღესაც კარგად ახსოვთ მადლიანი კაცი — დავით კერესელიძე.

1991-98 წლებში დავით კერესელიძე პატრონობდა საფეხბურთო სკოლას „კოდაკო“, რომელიც 1997 წელს საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გადაიყვანა. დღეს ეს გუნდი „ვიტ-ჯორჯიას“ სახელით ასპარეზობს.

ბატონი ნიკო ლეკიშვილის თხოვნით ჭრებალოში მშენებარე ეკლესიას დავით კერესელიძემ საჩუქრად ლითონ-პროდუქცია გადასცა, ასევე დავით კერესელიძის შემწეობით ონის რაიონის სოფელ ლარში დაიწყო წმინდა გიორგის სახელობის ეკლესის მშენებლობა.

ამჟამად ბატონი დავითი დაკავებულია ლითონ-პროდუქციის იმპორტით საქართველოსა და უკრაინაში. აქვს უძრავი ქონების ბიზნესი. არის შ.პ.ს. „უნიცენტრის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, დამფუძნებელი.

ჩატოცონ დავით, თქვენ ლირსაული ადამიანი ხართ, ადამიანი, რომელიც ასე კალუბად სცირ-ზეგა დღევანდებ საქართველოს. გვეაგაყიშა, რომ თქვენი ფესვები რაზაშია, განა თქვენი სიფავები არა არის?



უნდა ნახო შაორი,
უნდა ნახო რაჭა,
ზეცის ლურჯი გაზონი,
მიწის მწვანე ფარჩა.
ნიკოლწმინდის ჯვარი
და ხოტევის ციხე,
წესმი - ხიდისკარი,
ბარაკონიც გიღევა.
ნახო შოვის ფიტვები
და უწერის წელები
ზემო რაჭის მინდვრები,
ქვემო რაჭის ზვრები.
რაჭებელი გაქეაცების
ზრდილობა და გარჯა,
მხოლოდ მაშინ მიხვდებით
რატომ მიუვარს რაჭა.
რაჭა ჩემი ღმერთია,
ჩემი სალოცავი,
ჩემი გულის ცენტლი და
ჩემი ცრემლის ცეარი.

1982 წ.



ანასტასია პერესელიძის 50 წლის იუბილე კურორტ ანტალიაში

დავით კერესელიძის ძლიერი გენი გაუქრობელი და გაუხუნარია ერისათვის, დვრიტაა სამშობლოსათვის, მისი ბედნიერებისათვის.

ორი დის, ანასტასიასა და ლეილას ნებიერა ძმა, დავითი დღეს მათი ოჯახებისთვის მყარი საყრდენია.

კაცი უნდა კაცად იქნას!

სანთელსავით თვით დაიწვეს,

და სხვას კი გზას უნათებდეს!

ეს სიტყვები მიუსადაგა დამ ანასტასია კერესელიძემ თავის ძმას:

სწორედ რომ ეს არის დავით კერესელიძის ცხოვრების დევიზი... „მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერი, როცა ვარ შენუხებული“ მთელი ცხოვრება ამ დევიზით ვიზრდებოდით. თუ გინდა რომ უფალს დაუახლოვდე, უნდა შეიწუხო თავი და გაჭირვებულს, ყველა შენს მოყვასს ცხოვრება გაუადვილო. სამი

დიდი სიყვარული აცოცხლებს მას: პირველი — დედა, მეორე — ერი, მესამე კი — დიდი ოჯახი. დედა აიმედებს, სამშობლო ასულდგმულებს, მშობლიური რაჭა კი ფრთხებს ასხამს, ფრთხებს!

ღმერთო, მიიღე ვედრება

ეს ჩემი სათხოვარია,

არ დამიკარგო გულიდან

მე რაჭის სახსოვარია.

ყოველი ადამიანი საიდანლაც მოდის და სადღაც მიდის. მშობლიური ფესვებიდან მოდის და თავისებური სიამაყით შეიგრძნობს საკუთარ წარმომავლობას. რადგანაც ღმერთმა ასე ინება, რომ საქართველოს ულამაზესი, ღმერთებთან მოსაუბრე კუთხის, რაჭის, შვილად მოვლენილიყო, მას ერგო წყალობა მშობლიური კუთხისა და დიდი ოჯახის წევრების თანადგომისა და სიყვარულისა.



დავითის მეუღლე და დები წმინდა მინაზე

ერის კაცი

იგი ადამიანია, რომელიც სხვა ადამიანების სულის გასაღებია და ინვის სხვათა გასათბობად, გზის გასანათებლად. ასეთად დაიბადა და ცხოვრობს დღესაც რაჭის ქრმაგი და მოტრფიალე კაცი, ჩვენი უსაყვარლესი ძმა. მხოლოდ მაშინ გრძნობს იგი შვებას, როდესაც მეგობრებსა და ნათესავებს ცხოვრებას გვიმსუბუქებს.

რამეთუ, ღმერთმა კერძესლიძეების დიდ ოჯახში, სწორედ რომ ჩვენს სამაყო ძმას, დავითს, უბოძა გონება, ძალა, გული, სინდისი და ლირსება, რომ უყვარდეს ადამიანები, აკეთოს სიკეთე, გამოიჩინოს მოწყალება და თავდადება საკუთარი ოჯახის, კუთხის, ქალაქის, მოყვასისა და ქვეყნის წინაშე.

(უსათაუროდ)

ეველასგან გამორჩელი
დიდი ოჯახის თავი
ქვემო რაჭელი დავითი
სანათესაოს ფარი.
მამის ჩადებულ სიკეთეს,
დედამაც დასდო ფასი,
სამაგალითო ზნეობით
დააფრთიანეს კაცი.
შოგმა უმღერა რაშოვდა,
რიონმა ტბილი ქვედრულა,
სიწმინდის მაღლით ატარეს
ნიკორწმინდამ და სიონმა.
ღვთის ძალა-მაღლი ჰაფარავდეს
რაჭის ტრფიალით მევდარს
მის ულამაზეს დიდ ოჯახს
ფარავდეს უფლის გზა.

ანასტასია კარასელიძე

პედაგოგი.



დათოს ბიძაშვილის შვილი ოსებ ფილიშვილი.
შ.პ.ს. „უნიცენტრი“ გენერალური დირექტორი

მამა განსაკუთრებით დიდი მეგობარი იყო დათოსთვის. მან თავიდანვე აზიარა იგი დამოუკიდებლობას, შრომას და კაცურ ლირსებებს.

— ხშირად მეტითხებიან, რას მიიჩნევთ თქვენი ძმის, დათოს ყველაზე დიდ ლირსებად და ნაკლად. მისი ღისებების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. საერთოდ, ლირსეული ადამიანია, რომელსაც არ შესწევს უნარი, რაიმეს გულგრილად შეხედოს. ეს თვისება ბავშვობიდან მოსდევს. მას სოვეს, ბავშვობაში, რაჭაში ყოფნის დროს, ხშირად დავდიოდით ბარაკონის ტაძარში, სოფელ წესშიც. ტაძრის ეზოში კერძესლიძეების საძვალეა, დათოს იქ მისვლა ძალიან უყვარდა, რადგანაც გრძნობდა, რომ მისი ფეხსვები სწორედ იქ იყო. რაღაც იდუმალი ძალა ეწეოდა, ხშირად შედიოდა ტაძარში და მოძღვარს ესაუბრებოდა. მოძღვარს ასეთი რამ უთქვამს მისთვის:

თუ გინდა, რომ უფალს დაუახლოვდე, არასდროს იცრუო, პატივი ეცი მშობლებს. ისევე გიყვარდეს ახლობლები, როგორც საკუთარი თავი. გაჭირვებულებს მხარში ამოუდექი. ნუ იქნები გულგრილი ადამიანების მიმართ. სწორედ ეს სიტყვები გახდა მისი ცხოვრების წესი და დღემდე ამ პრინციპით ცხოვრობს.

ლეილა კარასელიძე,
ეკონომისტი



მეხუთე მოწვევის პარლამენტში
ახალი მემარჯვენები, (რაჭელები)

დავით კერძესლიძე ახალ მემარჯვენებთან ერთად

დისპაზონის თვალით დანახული დავით ქარესელიძე

ღისმევირმა თავის ვაჟს ბიძის საჟარისემყრობ გავითი გააჩენა

— ძალიან მეგობრული ბიძა გვყავს, ყველაფერზე შეიძლება ესაუბრო.

მე და ჩემმა დამ მომავალი მეუღლეები სწორედ მას გავაცანით, რადგან იგი ჩვენთვის ავტორიტეტია. მასში ვხედავ უფროს მეგობარს, გზის გამკვალავსა და დიდ იმედს.

ცამეტი წლის იყო, როცა მე დავიბადე და ბიძა გახდა, მას შემდეგ ჩემზე მზრუნველობა არ მოუკლია. დღეს ოჯახი მყავს, მეუღლე და ორი შვილი, მაგრამ კვლავაც ძველებურად ზრუნავს ჩემზე და ჩემს შვილებზე. ჩემს ქალიშვილს — მარიამ გრიგოლაშვილს საკუთარი შვილებისაგან არ ასხვავებს, ზომაზე მეტად ანებივრებს, ამიტომაც მარიამისათვის ყოვლისშემძლე და უსაყვარლესი დათო ბაბუა. ჩემს უმცროს ვაჟს კი დავითი დავარქვი, ჩემი საყვარელი ბიძის საპატივ-ცემულოდ, მინდა, მისი ღირსეული მემკვიდრე იყოს.

ირავ გოგია იურისტი, ნოტარიუსი

— დათო ბიძა საოცრად თბილი, მოსიყვარულე, ყურადღებიანი და მზრუნველი ადამიანია. ბავშვობაში მშობლებთან ერთად მოსკოვში ვცხოვრობდი. ბიძაჩემი ხშირად ჩამოდიოდა ჩემს სანახავად. ერთხელ 3 წლის ასაკში მასთან, არბატზე სეირნობის დროს, დავიკარგები დღემდე მახსოვს მისი აცრებმლებული თვალები, როცა მიპოვა და გულმი ჩამიკრა.

მან დიდი წელი შეიტანა ჩემი სამომავლო გეგმების განხორციელებაში. შემი პირველი უურნალისტური ნაბიჯები მისი თანადგომით გადავდგი. იგი ყველანაირად ცდილობს, ხელი შეუწყოს ჩემს პროფესიონალურ ზრდას.

სალომა სოსლია ეურალისტი

რომენ ასასიათეგან გაზონი ერთობენ, ნინო ღა გოთიქო ქარესელიძე



დავით კერესელიძე პატარა დათო
კერესელიძესთან ერთად

ადამიანის სული იმდენად მძიმეა, ერთ სხეულს, მისი ტარება არ შეუძლია. ამიტომ ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ, მე — სხვას, შენ — იმას, იმან — სხვას, რომ ერთის დაკლებით არ დავიბლდეთ. მაგრამ, ვაგლას რომ ძალიან მცირე ასაკში ობლებად დავრჩით, როდესაც მამა ტრაგიკულად დაგვეღუპა და უდიდესი პასუხისმგებლობა დედას დააწვა, მაგრამ თუ შეიძლება, რომ მამის შემდეგ ყველაზე დიდი ტვირთი აეკიდა ვინმეს, ეს მხოლოდ დათო კერესელიძე შეიძლება ყოფილიყო ჩვენს საგვარეულოში (ჩვენი მამის ალალი ბიძაშვილი). უამრავ სითბოსა და სიყვარულს იტევს მისი გული. ამ დიდმა დუელმა ახლოს არ გაგვიკარა, უმამოდ და უბინაოდ დარჩენილ ობლებს გაჭირვებაზე ფიქრი არ გვაცადა. საცხოვრებელი ბინაც გვიყიდა ქალაქ რუსთავში და დღესაც მისი ზრუნვა და პატრონობა უკანადადევნებული ლანდივით დაგვყვება ყველგან.

გვარდი მოაზადა ნინო რაციაშვილა

არა მარტო ქვაბია დაღმუშავდ მაღლა...



ქალბატონო ნინო,
ღმერთმა დაგლოცოთ თქვენი
სიკეთისა და ღვაწლისთვის,
მოხუცებულთა გულის გახარებისთვის,
მაღლიერებით,
საუკუნის ასაკის პედაგოგი
პავლა დავითულიანი.

ერთბალ ვაჭათონ საქოვ...



ცხადია, მადლი მარტო ქვაზე დადებული იბიექტიარ გახლავთ, მადლი ღვთის ნებაა თქვენს ცნობიერებაში გარდასახული, რომელიც ირგვლივ სიყვარულისა და სიკეთის შადრევნად იღვრება და მისი ნაპკური წვეთები ადამიანებს უსაზღვრო სიამოვნებით აღავსებს. მადლობა უფალს ამ კეთილი ნების აღსრულების საშუალებას რომ გვაძლევს. ბატონები: ავთანდილ ჩალაძე, თემურ გოცირიძე და ავთანდილ დაუშვილი სწორედ ის ადამიანები არიან, ვინც ჩემთან ერთად 8 მარტს რამდენიმე ქალბატონის ბედნიერების ადრესატები აღმოჩნდნენ. მათ წარბშეურელად მიიღეს ჩემი წინადადება, რამდენიმე სხვადასხვა კატეგორიის ქალბატონისათვის 8 მარტი მიგველოცა და ერთობლივად მივაღწიეთ იმას, რომ 101 წლის ხანდაზმულ ქალბატონს პავლა დავითულიანს ჩვენი სტუმრობით თითქმის სიცოცხლე გავუხანგრძლივეთ, გარდა ამისა, რედაქციაში გამზადდა სასაჩუქრე ამანათები, რომელთა მისამართი ამბროლაურის მუნიციპალიტეტი გახლდათ. ამანათებს დახვდნენ და მიზანმიმართული კოორდინაცია გაუწიეს ამავე რაიონის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმა. დიდი მადლობა მათ დახმარებისათვის.

ეს დღე დაუვიწყარი იყო, სიკეთის კეთება შეუდარებელი სიამოვნებაა. მეც მათთან ერთად ვხარობდი. ბედნიერი ხარ, როცა შენი ქმედებით სხვას სიამოვნებას ანიჭებ.

ეს აქცია ჩემი გარდაცვლილი ბებოს სულს მიგუძლვენი, 8 მარტს ნინა ბებო 85 წლის გახდებოდა. მინდა კიდევ ერთხელ მადლობა მოვუხადო ამ დიდებული საქმის შემოქმედთ, ბატონებს, რომელთა კეთილი ნებაც ამხელა ბედნიერების საფუძველი აღმოჩნდა.

ჩვენი რედაქცია კვლავაც შეეცდება ლირსეულ ადამიანებთან ერთად ბევრი კეთილი საქმე აკეთოს და ელემენტარული ყურადღებით ერთმანეთს სიცოცხლე გავუხანგრძლივოთ.

ნინო რახვიაშვილი

ქველმოქმედება

შერნალ „რაზვოლის“ სარვებარტო აკცია ამჟღოლადაშენება



ამჟღოლაშრის მუნიციპალიტეტის გამგეობას
მაღლობას ვუძღით დახმარებისათვის

კუნძული

ერთმანეთს მოცემა



1985
საბჭოთა
კავშირში
გარდაქმნის
კურსის

გამოცხადამ, რამელიც დანგრევის პირას მისული სსრკ-ს მოდერნიზაციისთვის მოიგონეს „დემოკრატის მამებმა”, გამოიწვია საბჭოთა კავშირის შემადგენელობაში ძალადობით შეყვანილი სახელმწიფოებში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობების აღმავლობა. ეროვნული მოძრაობის აღმავლობამ ყველაზე დიდი მასშტაბები საქართველოში მიიღო. ეროვნულმა მოძრაობამ, რომელსაც სათავეში ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ედგნენ, განსაკუთრებით მძლავრი ხდება 1988 წლიდან. ქართველი მამულიშვილების ძალის ხმევით ეწყობოდა მიტინგები და საპროტესტო აქციები საბჭოთა ხელისუფლების დიქტატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. 1989 წლის 4 აპრილს საქართველოს ეროვნული მოძრაობის ნარმომადგენლებმა საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლის და დამოუკიდებლობის აღდგენის ომზუნები წამოაყენეს. მიტინგის მონაწილეთა ერთმა ჯგუფმა დაინყო პოლიტიკური შიმშილობა.

ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური მოთხოვნები კომუნისტური ხელისუფლებისათვის იმდენად მიუღებელი იყო, რომ მთავრობასა და ეროვნულ მოძრაობას შერჩის მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა გადამტრელი ზომები მიეღო და ძირშივე აღევეთა ეროვნული მოძრაობის გაძლიერება. 1989 წლის 8 აპრილს, კრემლის დავალებით, საქართველოს რესპუბლიკური აქტივის სხდომაზე მხარი დაუჭირეს მომიტინგეთა წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღების წინადადებას. იმავე დღეს გამოქვეყნდა სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება, რომლის თანახმადაც მკაცრდებოდა მიტინგებისა და დემონსტრაციების აღკვეთის პირობები. ეს ბრძანებულება უშუალოდ თბილისის მოვლენების აღკვეთის მიზნით მიიღეს. ყოველივე ამით შეიქმნა მიტინგის დარბევის „იურიდიული“ საფუძველი.

9 აპრილის დილისათვის მიტინგის დასაშლელად გამოყენებულ იქნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილები. მოსკოვიდან თვითმფრინავებით გადმოისროლეს საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარების სპეცდანიშნულების ასობით ჯარისკაცი გენერალ ეფიმოვის მეთაურობით. მიტინგის დაშლის ოპერაციას უშუალოდ ხელმძღვანელობდა

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი იგორ როდიონოვი. დილის 4 საათზე დამსჯელმა ნაწილებმა მომიტინგებს ყველა მხრიდან შემოარტყეს ალყა. ისინი შეიარაღებული იყვნენ ხელკეტებით, ორლესული მახვილებითა და მომწამვლელი გაზით.

სამხედრო ჯავშანმანქანების კოლონა, რამდენიმე ასეული ჯარისკაცის თანხლებით, იერიშით შეიჭრა მთავრობის სასახლის წინა მოედანზე და შეუბრალებლად დაუწყო ჩეხება მომიტინგებსა და მოშიმშილებს, რომელთა უმრავლესობა ქალები იყვნენ. სადამსჯელო ჯარებმა, რომელსაც გენერეალი ი. როდიონოვი ხელმძღვანელობდა, ქართველი მამულიშვილების აქცია სისხლში ჩაახშო. საბჭოთა კავშირის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი, ედუარდ შევარდნაძე, რომელსაც ეროვნული მოძრაობა 9 აპრილის სისხლიანი მოვლენების ორგანიზატორად თვლის დღესაც დაუსჯელია! საბჭოთა არმიის სადამსჯელო ნაწილებმა გაუგონარი სისასტიკით დაშალეს მშვიდობიანი მიტინგი, რის შედეგადაც მოედანზე დარჩა 19 მოკლული ადამიანის, აქედან 16 ქალის (მათ შორის, ერთი ორსულის) გვამი. 2000-ზე მეტი ადამიანი გაზით მოიწამლა, მრავალი კი დაიჭრა. 9 აპრილს უდმერთო-კომუნისტურმა სადამსჯელო ორგანობმა ადამიანების მოსაწამლად გამოიყენეს მანამდე უცნობი ქიმიური შემადგენლობის მომწამვლელი გაზი, რომლის გამოყენებაც აკრძალული იყო საერთაშორისო კონვენციით.

9 აპრილის სისხლიანმა მოვლენებმა კიდევ უფრო გააძლიერა ეროვნული მოძრაობა, კიდევ უფრო შეუპოვარი გახდა ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. და აი, 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობას მიეცა საშუალება, აერჩია ეროვნული ხელისუფლება, რომელმაც 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

საქართველოს უახლეს ისტორიაში 9 აპრილი შევიდა როგორც დამოუკიდებლობის აღდგენის დღე. ამ დღეს ქართველი ერთს ზეიმს სევდაც დაჰკრავს ეს დღე 1989 წლის 9 აპრილს მთავრობის სასახლესთან საბჭოთა არმიის ნაწილების მიერ სასანგრე ნიჩბებით აჩეხილ ქართველების ხსოვნის დღე არის

საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება და 9 აპრილი, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ გამოაცხადა!



რუსულან სიხარულიძე

მარტინ სარგებლივი

სურათზე დარჩენილხარ
მარტო მოგონებად
ცრემლებით მეგსება
მიმქრალი თვალები,
ცხოვრების მანძილზე
რა აღარ მინახავს
ვინ არ შემხვედრია,
როგორი ქალები,
მაგრამ შენი წასვლით
ეულად დამტოვე
გულზე გამიჩინე ნაიარევი.
რა უცნაური
ეოფილა სიგვდილი
როგორი სწრაფი და
როგორი ნაჩქარევი,

დღეები დღეებს
მიჰყვება წამივით,
ჩემი ცხოვრება
იორშვა ნავივით,
ღმერთის ნებაა
ეს ეველაფერი
და თავს ვერ დააღწევ
ტირილით, ბდავილით.
აგერ მიკაგუნებს
გარებზე სიკვდილი,
მაგრამ ვერ დამაკლო
მაინც ვერაფერი,
ალბათ იმიტომ, რომ
ღმერთით იწევება და
ღმერთითვე მთავრდება
ქვეშნად ეველაფერი.
მე კი მზადა ვარ
სხეულით შევუერთდე,
და ვავევე შარა გზას
ევავილით დაფენილს,
მაინც რა არის
ჩვენი სიცოცხლე,
ნეტა რა მოხდება,

ანდა წინ რა გველის.
ერთი სელის მოსმით
სულს ვერ ვაუდექი,
მაინც სულ სხვა არის
მასთან ვანშორება,
ჩემ აზროვნებაში
კი ბევრჯერ შევძელი
სხეულის გმობა და
მასთან დაშორება.
რამდენი მმაკაცი მომიკვდა,
არ ვიწი,
რამდენი ჩაიძირა
წარსულის მორევში,
დავდივარ ამ ქვენად
ბებერი ხარივით
ეულად გარეული
ამოდენ ხბორებში.
ანდა რა აზრი აქვს
ისეთ სიცოცხლეს,
როცა გიურებულენ
და არც გიურებულენ,
არავის ახსოვნარ
და არვის სჭირდები.



ოქერი სააღდგომოდ საქართველოში არ ყოფილ გამო



ქარი დაგრიალებს
ცრემლიან ქუჩაზე
და ეხეთქება
ჭიშკარის კარიბშეს,
მარტო მაშინ ვხვდები,
რომ ჯერ ცოცხალი გარ
და ქარის გრიალი
სიცოცხლეს მანიჭებს,
წვიმიან ამინდში,
ცრემლიან ქუჩაზე,
ეულად მივუვები
დარდიან ბილიკებს,
თითქოს დედამიწა
სიუვარულს მიცხადებს
და მაგრძნობინებს რომ
არსად გამიშვებს.
და ასე შემოვჩი
ეულად ქვეყანას,
რიგი დავკარგე და
რიცხვები ამერია,
ნეტავ რად მიბომა
უფალმა სიცოცხლე,
როცა სამეგობროს
სიკვდილი დაერია.
რადგანაც ასე
ინება განგებამ,
ამ ქვეუნად ვიუო და
და თან არსად წავიდე,
სიკვდილი ბავშვივით
ხელში ავიტაცე და
მსარზე გავიდე.
ასე დავდივარ
და დამაქეს საპანე,
აღარც მოვიშორებ,
სანამ მუხლი მიჭრის,
ასე გატარებ
ჭირვეულ ბავშვივით,
სანამ მალა მაქვს და
ღმერთი არ დამიშლის.

ზაურ ხიდეშელი, წარმოშობით რაჭელი, გულუბრუვილობითა და სულგრძელობით აღ-სავსე შორეული ამერიკიდან აკვირდება მშობლიური ქვეუნის მაჯისცემას. აგერ უკვე აღდგომის დღესასწაული ახლოვდება, განიცდის, რომ სახლობლოში ბევრი გარდაცვლილია და მათ სულებს ქრისტეს აღდგომას ვერ მიულოცავს. ამიტომ თავის ნაფიქრს და ნააზრევს წერილის სახით უგზავნის რედაქციას. ეს უცხოეთში გადახვეწილი ადამიანისთვის ხომ ერთგვარი შვებაა.

ამერიკის ხმა

„თქვენს საფლავებთან მოსვლა
და მუხლის მოდრექა მომინდა“
ლ. ასათიანი

ამ რამდენიმე წლის წინ ბონდო გაგნიერ გაზეთ „რაეოში“ ჩემი სააღდეგომოდ დაწერილი წერილი დაბეჭდა;

„თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრექა მომინდა“.

სულ მალე ბონდოც წავიდა ამ ქვეყნიდან, ნათელში ამყოფოს ღმერთმა.

და აი ახლაც, წლევანდელი წლის აღდეგომის დამდეგს ისევ არ მასვენებს ფიქრი იმაზე, თუ ვის საფლავთან ყოფნას და დგომას ვერ შევძლებ, ჩემი საქართველოდან ათი-ათასი კილომეტრის სიშორის გამო, აქ, ნიუ-იორკში ქართულ ეკლესიაში მისვლა, პანაშვიდის გადახდა და სანთლების ანთება მომინევს მათვეის.

ესენი ჩემი წინაპრები — ჩემი ბებია და ბაბუა, მამა და დედა, ჩემი დედმამიშვილები (ანზორი, ციცო, თენგო), საგვარეულო და მეგობრები არაა. თითოეულმა მათგანმა გულის წანილი თან წაიღეს.

გასულ წელს რამდენიმე თვით საქართველოში ვიყავი ჩამოსული, როგორც შევძლი მოვინახულე ჩემიანების საფლავები, შესანდობარიც ვუთხარი მათ სულებს. თითქოსდა ცოტაოდენ ვალმოხდილად ვიგრძენი თავი.

და აი, ახალი ტკივილი გაჩნდა, ჩემი უახლოესი ადამიანი, ბესო ხიდეშელი, ცუდად გახდა, სენი განუკურნავი აღმოჩნდა. ავადმყოფობის დროს 6 ოქტომბერს რამდენიმე ახლობელმა დაბადებიდან 72 წელი აღუნიშნეთ, 16 ოქტომბერს კი გარდაიცვალა.

ერთად გავიზარდეთ, სანთელივით დადიოდა ჩემს საპიძაშვილოში და ჩვენი ერთად ყოფნისთვის თავგადადებული იყო, წავიდა იმ ქვეყანაში. ბესოს გარდაცვალებამ ერთი ხალხური გამონათქვამი გამახსენა.

„ღმერთო, რა დიდი ბრალია
სიკვდილი კაი ემისაა“.

რამდენჯერ უთქვამს ჩემთვის სუფრაზე „შენს უკან ნუ მაცოცხლოსო ღმერთმა“. ასე ძირითადად თავისზე უმცროსებს და ძალიან ახლობლებს ეუბნებიან ხოლმე, მე კი მასზე 2 წლით დიდი ვიყავი და ვუშლიდი ასე ნუ ამბობ-მეთქი. 25 ოქტო-

მბრისათვის თვითმფრინავის ბილეთი მქონდა აღებული, ნიუ-იორკში გასაფრენად ვემზადებოდი. ვწუხდი ასეთი ავადმყოფი როგორ დამეტოვებინა. თითქოს აქაც ჩემზე იფიქრა. ჩემს წასვლამდე გარდაიცვალა. მეუღლემ, ნათელამ დაატირა, შენ იმიტომ დააჩქარე სიკვდილი, ზაური რომ არ გაგენვალებინა უკან ჩამოსასვლელადო. როგორი მოსასმენია?

თბილისის ზღვაზე ჩემიანებთან ახლოს დავასაფლავეთ, ჩემო ბესო! ღმერთს ვთხოვ ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული. ვეცდები შენს მირანდას და ერეკლეს შენს მაგივრად მოვეცერო, ნათელას შეუმსუბუქო უშენობა.

ახლა კი ჩემს მზია მაღალდაძეს უნდა დავუჩირქო საფლავთან.

მზიკა! შენ ზაური მაღალდაძის და ციცო ხიდეშელის (ჩემი დის) დიდი და ლამაზი სიყვარულის ნაყოფი იყავი. 22 წლის ვიყავი შენ რომ გაჩნდი. სახელი ჩემმა ძმამ, თენგომ დაგარქვა. იქიდან მოყოლებული შენი ცხოვრების ყველა ეპიზოდის აქტიური მონაწილე ვიყავი სკოლაში, ინსტიტუტში, სამსახურში, ყველგან, მეამაყებოდა შენი სილამაზისა და ნიჭის გამო. შენი ქორწილის თამადობაც არავის დავანებე, ვიფიქრე მოფერება და ხოტბა არ დაგვლებოდა.

ანგელოზებივით შვილები და შვილიშვილები გაზარდე, მეუღლემ ადრე დაგაქვრივა და კრუხივით გადაეფარე შენს შვილებს. რატომ, რატომ არ მოუარე შენს თავს, სხვის ჯანმრთელობაზე ზრუნავდი. მთელი ჩვენი სანათესაო შენგან ველოდით შველას, შენ კი თავს ვერ მოუარე. ამდენი სიკეთისმთესველი როგორ გაგიმეტა დალოცვილმა ღმერთმა.

ამაყად იტყოდი ხოლმე შვილიშვილი მყავსო. შენს შვილებს დედა და შვილიშვილებს ბებია დიდხანს უნდა ჰყოლოდათ.

მზიკა! იმის მაგივრად, 15 მარტს დედის (ციცოს) დაბადების დღეს სასაფლაოზე თაიგულებით მისულიყავი, შენგან გულ-დათუთქული ადამიანები შენს ორმოცზე, შენს საფლავთან იდგნენ. გვაპატიე მე და ლეილას მათ შორის რომ არ ვიყავით. შენი დავიწყება შეუძლებელია, ჩემო ლამაზი გოგო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული, დაგილოცოს და გიმრავლოს დანატოვარი მონაგარი!

ამინ!

ზაურ ხიდეშელი
2015 წლის მარტი. ნიუ-იორკი.

სანამ ვისოცხება, დავდგები მესაღ ლეილა გაფრინდაშვილი



გეფერები თბილისს

ნეტავ მქონდეს ფიროსმანის ნიჭი
მთაწმინდიდან გავხედავდი თბილისს,
მწვანე მოლზე გადავშლიდი ტილოს,
დავხატავდი: სამებას და სიონს,
ქართლის დედას დავადგამდი გვირგვინს,

გავუფენდი ნარინჯისფერ ფარდაგს,
მოგხატავდი ჩემს ჭაღარა თბილისს
ძოწის ფერს შემომოვავლებდი ქარგად.
დავხატავდი: მეტეს, ნარინალას,
აივანზე მოწინულ მერცხლის ბუდეს,
სინაგოგას, ძველ თბილისურ ხედებს,
ბარათაშვილს და მტკვარს მობუტბუტეს.

მეტოვეს ჭრელა-ჭრელა კაბით
ფაეტონში შებმულ ლურჯა წენებს,
სიევარულით მოალერსე წევილებს
ორთაჭალის ბაღებსა და ველებს...
...ნეტავ მომდა ფიროსმანის ფუნჯი,
გავუცოცხლო თბილისს იეთიმ გურჯი!
საქართველოს დედასა და სინდისს,
გეფერები ჩემს ჭაღარა თბილისს!

სიცოცხლის აზრი

ტკივილს მაღამოდ ედება
სათხო, თათუნა ხელი,
სევდას მინაცვლებს ხალისით
მკრდეს ჩასუტება შენი.
ცრემლის მდინარეს დამიშრობს
მნათი ღიმილი, მწველი,
განმკურნავს, წელულს დამიამებს
კოცნა, ამბორი წრფელი.
ახლა შეგერია ვირუსი,
ბებო გაულაპებს წამალს,
აღარ მიევარხარ, ბებიკო,
მახსენებ ხშირად, მალ-მალ.

გულს მთუთქავს შენი წეუნა და
ვერც შენს გაბუტვას ვიტან,
არ ვამიბრაბდე, ლუკახო,
ზატიებას გთხოვ... ვფიცავ!...
სიცოცხლეს აზრი მიტომ აქვს,
შენ და გიგი რომ მეავხართ,
კაცურ კაცებად გამოგ წრდით,
არ გიღალატებთ არც წამს.
მერე, როდესაც ბებიკოს
დასეტევას ქვა და კოხი,
გულისტკივილით გამგ ზავნით...
მზადა მაქვს ჩემი ქოხი.

ფიქრები...

მეუღლის ხსოვნას
გუშინწინ ვიუავ შენს საფლავზე,
დავრგე ტიტები,
სანამ ცოცხალი ვარ, მე ამ სახლზე
გულით ვიქნები,
ფიქრებმა მმლია, მიმოფანტა გულში
წარსული,
რაც ჩვენთან არ ხარ, ორი წელია
უპვე გასული.
აქ ეველაფერი მოცულია იდუმალებით,
გული დამმიმდა, ტკივილი იგრძნო,
ცემს გამალებით,
ცრემლები ვძლიე, ვიქეც მუნჯად,
ვაშტერე თვალი,
აქ მოსვლით, ფიქრით, მსურს მოვიხადო
ქალური ვალი!
რაგინდ გავრმელდეს და შეიქმნას
სიცოცხლე ვრცელი,
სულ ბოლოს მაინც ეს სახლია
ჩემი და შენი,
სანამ ვიცოცხლობ დავდგები მეხად,
არ დავური ფარხმალს,
ბოლოს ამ სახლშიც არ შევშინდები,
რადგან შენ აქ ხარ.



დართვა კურთხევა ქრისტულების

„მიიღო კვერთხი ესე, რათა დამნეცი რწმუნებული შენდა სამნეო ქრისტესი, რომელსა რწმენის შენი, იყავნ მათ ზედა კვერთხი და სიმჭკიცე და რომელსა არა რწმენის შენი და უდები იქმნეს, მიაქციო მას ზედა საგვემებლად კვერთხი ესე შენი სატანჯველად მისესა“ — ღმერთმან აღმასრულებინოს ეს კურთხევა, ნატრობდა მეუფე ელისე. უფალმა ნატერა აუსრულა, თავმდაბალობის, კეთილშობილების, ზნეობისა და სიწმინდის თვალსაჩინო მაგალითად აქცია მისი სპეტაკი სული.

შქმერში, რაჭის (ონის მუნიციპალიტეტის) ერთ-ერთი ულამაზეს სოფელში, ჯოხაძეების ოჯახში ვაჟი დაიბადა, ელდარი დაარქვეს. ჩვეულებრივი ბავშვი იყო, ათეზმის მრნამსის გაზიარება უჭირდა, ჭაბუკს გული ეკლესიისკენ მიუწვდა, ბობოქარი სული სიწმინდებისაკენ ილტვოდა. ერთ დღესაც სიონის საკათედრო ტაძარში ამოყო თავი. ელდარი მიხვდა, რომ სწორედ ეს იყო ადგილი, სადაც მისი სული შვებას განიცდიდა.

ერთ-ერთ მღვდელს დაუახლოვდა და ჩუმად ჰკითხა, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს სად ვნახავო?

მოძღვარს ჩაეცინა, ჭაბუკს თავზე ხელი დაადო, დალოცა და უთხრა, პატრიარქი ეფრემ მეორე მე გახლავარ, შვილო ჩემო. ეს იყო მისი პირველი

შეხვედრა სასულიერო პირთან. სკოლის მოწაფე იყო, როცა მღვდელმა პახუმ (ობოლაძემ) სიონის ტაძარში მონათლა.

აქედან გაიკვლია გზა ეკლესიისაკენ, გზა მეტად რთული და მძიმე იყო, თუმცა ელდარის სულიერ სიმწიფესა და მიზანსწორულობას მყარი და მტკიცე ნებისყოფა ამაგრებდა და ნელ-ნელა უფალს უახლოვდებოდა.

ელდარ ჯოხაძემ 1966 წელს თბილისის მე-4 საშუალო სკოლა, შემდეგ კი 51-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი დამთავრა. 1966 წლიდან მუშაობდა ქარხანა „პლასტმასში“ ელექტროზენერად, 1968-1969 წლებში - სოფელ შქმერის რვაწლიანი სკოლის მათემატიკის მასწავლებლად. 1970 წელს სწავლა განაგრძო



თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სალამოს განყოფილების ელექტროამძრავ მანქანათა და საწარმოო დანადგართა ავტომატიზაციის სპეციალობით, რომლის სრული კურსი 1976 წელს დაამთავრა. ინსტიტუტში სწავლის პერიოდში იგი მუშაობდა თბილისის ელექტრონაკეთობათა სამმართველოში, „თელას“-ს სადისპეჩერო განყოფილებაში, თბილისის „რადიოქარხანაში“. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაინიშნა ამავე საწარმოს ენერგეტიკულ განყოფილებაში ინჟინრად. 1976 წლიდან მუშაობდა გარდაბნის რაიონის ლითონკონსტრუქციების ქარხნის თბილისის ფილიალში საამქროს უფროსად, შემდეგ კი საქართველოს სამხატვრო ფონდში, სადაც ასრულებდა ჯერ ტექნიკური ზედამხედველის, შემდეგ მთავარი ინჟინრის მოვალეობას, აქ მას მიენიჭა ხალხური ოსტატის წოდება.


1980 წლიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაინიშნა საქართველოს საპატრიარქოს მშენებლობისა და რესტავრაციის განყოფილების ინჟინრად. ამ თანამდებობაზე მუშაობის დროს იგი მონაწილეობდა სიონის საკათედრო ტაძრის,



დიდუბის ეკლესიის, მარტყოფისა და მანგლისის საპატრიარქო რეზიდენციების რესტავრაციასა და მშენებლობაში. 1982 წლიდან იგი საქართველოს საპატრიარქოს სასაწყობო მეურნეობის გამგე და ქაშუეთის წმიდა გიორგის ეკლესიის მწათეა. 1983 წლის 19 ივნისს თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მიერ ხელდასხმულ იქნა დიაკონად და სახელად ეწოდა ელისე. იმავე წლის სექტემბერში დიაკონი ელისე ხელდასხმულ იქნა მღვდლად და გაიგზავნა წალკის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურად. 1983 წელს მღვდელი ელისე ჯოხაძე ჩაირიცხა მცხეთის სასულიერო სემინარიაში. 1983-1996 წლებში მამა ელისე ჯოხაძე ღვთისმსახურებას აღასრულებდა წალკის, ნიკორწმიდის, გორის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, მცხეთის სვეტიცხოვლის, ანანურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, თბილისის წმიდა პანტელეიმონ მეურნალის, დიდუბის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, თბილისის ანჩისხატისა და მეტეხის ეკლესიებში.

მამა ელისემ XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ადმინისტრაციული წესით დახურულ და 80-იან წლებში ახლადგახსნილ გორის, ანანურისა და პანტელეიმონ მეურნალის სახელობის ეკლესიებში პირველი წირვა-ლოცვა აღასრულა. ნიკორწმინდაში მსახურების დროს იგი დაჯილდოვდა ოქროს ჯვრის ტარების უფლებით, ხოლო გორის ეკლესიაში მსახურების დროს აღვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში. მღვდელმსახურების პარალელურად იგი ეკლესიებში ატარებდა სარესტავრაციო სამუშაოებს. მეუღე ელისეს მიერ დამზადებულია ძველი საპატრიარქო შენობის ფანჩატურის დედაბოძი. მან შეასრულა და დადგა გორის ეკლესიისა და სოფელ ვაქირის (სიღნაღის რაიონი)





იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის წმიდა დიდმოწამე ბარპარეს სახელობის ეკვდერის კანკელები. მან შეასრულა წმიდა დიდმოწამე პანტელეიმონ მეურნალის სახელობის ეკლესიის გუმბათის ჯვარი, რომლის დადგმაშიც თვითონვე მიიღო მონაწილეობა, მანვე დაამზადა გორის ეკლესიის კანკელის აღსავლის კარები, ანჩისხატის ქვის სამკვეთლო, არმაზის ახლადაშენებული წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიის დასავლეთ ფასადის „აყვავებული ჯვარი“, ნიკორწმინდის ეკლესიის ქვის ანალოგია, საქართველოს საპატრიარქოს გალავნის სამხრეთ და აღმოსავლეთ კედლების ქვის ცხრა ჯვარი. მღვდელმთავრობის დროს აღადგინა სოფელ პატარა ონის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის XI საუკუნის კანკელი. ჭრებალოს წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში შეასრულა ქვის ახალი კანკელი. თბილისის ეკლესიებში მსახურების პერიოდში დეკანოზი ელისე ასრულებდა საქართველოს საპატრიარქოს სახლთუხუცესის მოვალეობას და ხელმძღვანელობდა ახალი ეკლესიების გახსნის განყოფილებას, იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი.

1996 წლის 14 მარტს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა, თბილისის მეტეხის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის ნინამდღვარი

დეკანოზი ელისე ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად გამოარჩია. იგი აღიკვეცა ბერად, აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. 1996 წლის 17 მარტს, არქიმანდრიტი ელისე უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ სინოდის წევრების, ჩეხეთისა და სლოვაკეთის ეკლესიის წარმომადგენელ მიტროპოლიტ ქრისტეფორეს (იგი ამჟამად ჩეხეთისა და სლოვაკეთის ეკლესიის მეთაურია ს.კ.) თანდასწრებით აკურთხა ეპისკოპოსად. 2000 წლის ნოემბერში მეუფე ელისე აყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში. 2007 წლის 25 დეკემბერს დაჯილდოვდა წმიდა გიორგის I ხარისხის ორდენით. ხოლო 2008 წლის 27 ივნისს წმიდა ნინასწარმეტყველ ელისეს ხსენების დღეს აყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში.

მეუფე ელისე საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო სინმიდეთა მოძიებისა და დაცვის განყოფილებას ხელმძღვანელობს. მიტროპოლიტ ელისეს ძალისხმევით ნიკორწმინდის ეპარქიაში განახლებულია ქვაზე კვეთის და მოჩუქურთმების ტრადიცია. მის მიერ ან მისი ხელმძღვანელობით ნაკეთები ქვის კანკელები აღმართულია ჭრებალოს წმიდა ნიკოლოზის, უწერის სინამდიდის, პატარა ონის, წმიდა ნიკოლოზის, პატარა ონის წმიდა გიორგის, ნიკორწმინდის საკათედრო ტაძარსა და სხვა ეკლესიებში. ეპარქიაში პერიოდულად გამოდის უურნალი „ორნატი“ და გაზეთი „ნიკორწმინდა“.

კამიანების ნიკოლებიძეები

მიგრაციული ელისეების (კოხაძე)

20 მარტი... დილიდან თოვდა... რძისფერმა ნისლმა დაფარა არე-მარე... სიცივე ძვალსა და რბილშიგავიჯდაყველას... ნიკორწმინდის ტაძარში ხალხმა ნელ-ნელა დაიწყო მოსვლა... მოდიოდნენ ჯგუფ-ჯგუფად, მოდიოდნენ ყვავილებითა და დიდი თაიგულებით... ჯარისკაცები, მედიკოსები, მასწავლებლები, მოსწავლეები... მოდიოდნენ საქართველოს ყოველ კუთხეში გაფანტული მადლიანი რაჭველები... ტაძარში ერთმანეთს ენაცვლებოდა სხვადასხვა მგალობელთა გუნდების მიერ შესრულებული საგალობლები... სასულიერო პირები ერთმანეთის მონაცვლებით იხდიდნენ მეუფე ელისეს სულის სახო პანაშვიდს... ეს ორი დღე გლოვაში გაატარა დიდებულმა ნიკორწმინდამ... მთავარებისკოპოსი ეფრემიც მოპრძანდა, მოკრძალებულ მღვდელმთავარს მოკრძალებული პანაშვიდი გადაუხადა და თვალცრუმლიანი გაერიდა დიდებულ ტაძარს.... თერჯოლისა და ტყიბულის მიტროპოლიტმა, საქართველოს ეკლესის წმიდა სინოდის უხუცესმა წევრამ, ღმრთისმეტყველების დოქტორმა გორგიმ (შალამბერიძემ) თავისი ჩვეული ღიმილით გაიხსენა მეუფის გვერდით გატარებული წლები და ბოლოს აღელვებული ხმით გამოეთხოვა თანამწირველს „მაღლობა ძმაო, იქ შევხვდებით“! დაღამდა, ასეთი კუშტი და ცივი ღამე არასოდეს ალბათ აღარასოდეს დაუდგება ნიკორწმინდას... ტაძარში ქვითინი მატულობს. ეს ერთი ღამეც და დასრულდება ნიკორწმინდელი მღვდელმტავრის სააქაო ყოფა... .

ინათა თუ არა ნიკორწმინდის ზარები აუწყებდა საქართველოს სამეუფო წირვის დაწყებას... გორისა და ატენის მიტროპოლიტმა ანდრიამ (გვაზავა) ჭყონდიდელი მიტროპოლიტის პეტრეს (ცაავა) თანამწირველობით საგანგებოდ ამ დღისთვის ნიკორწმინდის საკათედრო ტაძარში სამღვდელმთავრო წირვა აღავლინა... ისევ აუტანელი სიცივე, ისევ რძისფერი ნისლი, თოვა და

სუსხი უტევდა ნიკორწმინდას... 21 მარტის დიღის 9 საათიდან არ შეწყვეტილა მეუფე ელისესთან გამოთხოვების მსურველთა რიგი... სათითაოდ იჩიქებდნენ მის ცხედართან და ამბორით ემშვიდობოდნენ მორიდებულ უბრალო და თავმდაბალ მღვდელმთავარს, რომელმაც თავისი ადამიანობით ღრმა და შინაარსობრივი კვალი დატოვა საქართველოს ეკლესის ახალ ისტორიაში. სანდახან ქალებზე მეტად მამაკაცები ტიროდნენ და მაღულად იწმენდნენ ცრემლებს... ცრემლებს, რომლებიც აღსავსე იყო გულწრფელობითა და სიყვარულით.

ნიკორწმინდის ტაძარში შეიკრიბნენ დედაე-კლესის გამორჩეული ადამიანები, წმიდა სინოდის წევრები, სასულიერო პირები თბილისიდან, კახეთიდან, ქართლიდან, სამეგრელოდან, იმერე-თიდან.... ქვითინი მატულობდა.. დასრულდა ნიკორწმინდის ეპარქიაში ერთი მეტად ღრმა და შინაარსობრივად აღსავსე ოცნლიანი ეპოქა, ეპოქა, რომელიც შექმნა რაჭველმა კაცმა-დინჯმა, მშვიდმა და სიყვარულით გაჯერებულმა მიტროპოლიტმა ელისემ... გამოასვენეს კუბო და მანქანამ გეზი აიღო რაჭის უშორესი და ულამაზესი სოფლის-შემერისენ. ეს ის შექმერია, რომელზედაც დიდი ვახუშტი წერს: „ხეორის სათავის მცირეს ტბის ქუეთ, ჩრდილოთკენ, კლდეს გამოსდის წყარო დიდი მდინარე, და ამ ორის წყლის შესართავს ქუეთ არს შექმერი, დაბა დიდი, უვენახო, უხილო,



მეუფე ელისე

მსგავსი სხუათა მთის ადგილთა და შუენიერ ზაფხულის ფრიად.” ამ ლამაზმა სოფელმა და დიდებულმა მშობლებმა შობეს მიტროპოლიტი ელისე, და ამიტომაც გადაწყვიტა მეუფემ მისი ცხედარი დაბრუნებოდა იმ ადგილებს და სერებს, სადაც დაიბადა, სადაც ფეხი აიდგა, სადაც ყრმობა გაატარა და სად „მამა-პაპა ეგულვის”....

ონიდან 21 კილომეტრში მდებარე სოფელში უხვი თოვლი დაგვიხვდა.. გზაში გაზაფხულის სურნელი დამათრობლად იჭრებოდა ავტომობილის ფანჯრებში, მაგრამ რაც უფრო მაღლა ავედით თოვლის საფარმა თითქმის ერთმეტრს მიაღწია.. ონის მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით გზა აბსოლუტურად განმენდილი

და მოწესრიგებული იყო. ასობით ავტომანქანის კოლონა მიაცილებდა ძირფასი ადამიანის კუბოს... მთის კალთებზე ფირუსულები ამოსულიყო ბლუჯა-ბლუჯა და თავდახრილი ეგებებოდნენ მეუფეს... და აი, გამოჩენდა შემერი, რომელიც ზღვის დონიდან 1700-1750 მეტრზე მდებარეობს... სადღაც შორს გავაჩერეთ ავტომანქანა (რომლის საჭეს უაღრესად ღირსეული ადამიანი დეკანოზი გიორგი გელუტაშვილი მართავდა, რომლის ერთგულება და ღირსება მუდამ დასაფასებელია), რადგან ახლოს მისვლა ავტოკოლონის გამო გაგვიჭირდა. მეუფის ცხედარი თავის მშობლიურ სახლში დაასვენეს... დიდი, თეთრი „შუშაბანდიანი“ სახლიდან თითქოს დედ-მამა და განსვენებული დედ-მამიშილები შემოეგება... ისევ რიგი, ახლა უკვე იქ დამხვდურთა-მოკეთების, ნათესავების, ახლობლების, მეზობლების... ცოტაც და პროცესია დაიძრა წმიდა ელისე წინასწარმეტყველის ახლადაგებული ტაძრისკენ, სადაც მეუფის ძვალთშესალაგია.. ეს ტაძარი გახდება რაჭველებისათვის ერთ-ერთი საყვარელი სალოცავი... აქ ხომ მისმა უპირველესმა შვილმა ისურვა დასაფლავება... პატარა, ერთნავიან ბაზილიკაში ყველა მსურველის შესვლა გაჭირდა. მხოლოდ მღვდელმთავრები და ოჯახის წევრები შებრძანდნენ.. იქაც ქვითინი, ლოცვა და საგალობლების ხმა

ცოტა ადრე წამოვედი.. ყელში ბურთი გამეჩირა.. ცრელმებს ვერ ვიკავებდი... გზად გალკონის ლექსის სტროფი ამეცვიატა (16



მარტს მეუფე აღესრულა, 17-ში გალაკტიონის გარდაცვალების დღეა): „მიდიხარ... შენს ბედს ბევრი ინატრებს, მშვენიერს, ბედი სხვა არსად არის, შენ სივრცეებმა დაგიბინადრეს - შენ უკვდავების ხარ ბინადარი.“ წავიდა მეუფე და დაგვიტოვა დიდი ტკივილი... ენით აუწერელი ტკივილი... თუმცა სიხარული თან ახლავს ამ ტკივილს და ეს სიხარულია ის, რაც ადამიანებს გვაძლებინებს და გვმატებს ძალას... ეს ძალა სიყვარულია, ეს ძალა ერთგულებაა, ეს ძალა ბოროტებაზე გამარჯვებაა... სწორედ ამ სამი სიტყვისთვის ღირს ცხოვრება. მეუფე ელისეს ცხოვრება იყო ნათელი მაგალითი ქართველი კაცის ღირსებითა და სიყვარულით, ტკივილითა და განსაცდელით აღსავსე ცხოვრებისა, სადაც არათუ დაეცა და გატყდა, არამედ ზეცად ამაღლდა თავისი ღვანლითა და თავდადებით.

მეუფე სრულად იზიარებდა ჩვენი გმირი პატრიარქის სიტყვებს: „არ შეიძლება ითქვას - ჩვენ გვიყვარს ღმერთი, მაგრამ არ გვიყვარდეს ადამიანი... უსიყვარულოდ შეუძლებელია ცხოვრება, უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი. გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი; გვიყვარდეს, თუ გვინდა ვიპოვოთ ღმერთთან მისასვლელი გზა... თუ გვინდა, ვიყოთ ბედნიერნი. მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიპოვებს ადამიანი მაღლსა ღმრთისასა, როცა სულიერად გაძლიერდება და ამაღლდება“... ეს გზა არის რისთვისაც ღირდა ცხოვრება. ისევ გალაკტიონი მახსენდება, როდესაც ქებათა ქება უძღვნა დიდებულ ნიკორწმინდას:

„ენის სულმნათისად ასელა ეროვანი:
ეელი გუმბათისა მაღალღეროვანი,
ცამდის აღერილი,
ნებით აღერილი,
სათნოდ აღერილი,
გშვენის, ნიკორწმინდა!“

დიახ, მეუფეს შვენოდა ნიკორწმინდა და ნიკორწმინდას შვენოდა მეუფე ელისე. ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროთ უფალმა, მეუფეო, დაგვლოცეთ და დალოცვილი ყოფილიყავით სამუდამო სავანისკენ მიმავალ გზაზე!

ქედის მოხრით, **მამუკა სუციმილი**

ქადაგით მეუფე




ხანგრძლივი ავადმყოფობის
შემდეგ საქართველოს
მართლადიდებელი ეკლესიის
წინდები სიცოდის ცენტრი,
ნიკორწმინდები მიტროპოლიტი
მეუფე ელისა (ჯოხეძე) გარდაცვალა!

ვუსამძიმე მთელს
მართლადიდებელ სამყაროს.
ღვერთმა გაანათლოს და სამუდამო
საუცველი დაუმკვიდროს.
აგბოლლაურის მუნიციპალიტეტის
მაზრისარი დეკუტატის
გორა ეცეკიძის ჩიურო

საყვარელო მეგობრებო, მეუფე თადეოზის
შემდეგ კიდევ ერთი დიდი დანაკლისი განიცადა
საქართველოს ეკლესიამ, გარდაიცვალა მისი
მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, მეუფე ელისე
(ჯოხეძე) -მიტროპოლიტი ნიკორწმინდელი,
შესანიშნავი პიროვნება, კაცი უბრალო და
მართალი, დიდიპატრიოტითავისისამშობლოსიდა
ეკლესისათვის დიდად დამაშვრალი. საუკუნედ
იყავნ ხსენება მისი, ხსენება და კურთხევა მისი!!!

ელვალები ილია ჭილაძე



ჩვენს ოჯახს ჰქონდა ბედნიერება მეუფე ელისესთან ახლო
ურთიერთობისა, არაერთი დეტალი შემიძლია გავიხსენო... მისი ლოცვა-
კურთხევით აიგო რაჭაში მრავალი ტაძარი. 2010 წელს ჩემს მამამთილს
სერგო ლობჯანიძეს დიდი ხნის ჩანაფიქრი - ოცნება აუხდა და საფუძველი
ჩაეყარა ტაძრის მშენებლობას სოფელ დების ზემოთ ბრილში, სადაც
მეუფე ელისე მისი ავადმყოფობის მიუხედავად დიდი სიხარულით
წაბრძანდა (მან ფეხით განვლო რამდენიმე კილომეტრი, მანქანა ვერ
მიდის ბოლომდე) აკურთხა ადგილი, სადაც უფლის შეწევნით და მადლით
სერგო ლობჯანიძემ მეუფისა და ლირსეული ადამიანების გვერდში
დგომით ააშენა წმინდა გიორგის ბაზილიკის ტიპის ტაძარი.

თითქოს გუშინდელი დღესავით მახსენდება ვუელა ის შეხვედრა, მასთან სტუმრობა, თუ
მისი საოცარი თბილი სიტყვები, ქადაგებები, მისი უზომო სიყვარული სამშობლოსადმი,
რაჭისადმი, ხალხისადმი.

მინდა სამძიმარი ვუთხრა მის ოჯახს, სრულიად საქართველოს მართლმადიდებლურ
სამყაროს, ჩვენს რაჭას და რაჭველებს. დიდი დანაკლისია მეუფე ელისე მართლაც დიდი
ადამიანი იყო, უფალმა დაუმკვიდროს ადგილი სადაც მართალი განისვენებენ.

მეგობრის მიზანი (მრავლი).



ღირსეული მოძღვარი დეკანოზი მამა გიარიელ კერესელიძე

ლოცვით განვითარების სული

წარმოშობით მთის რაჭიდან იყო, ბავშვობის წლები ანის ულამაზეს სოფელ ბოყვაში გაატარა. ბებიას, ქრისტინი ლეპანიძეს ხშირად დაჰყავდა მე-XII საუკუნის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის ნანგრევებთან, სადაც პატარა შეილიშვილს უამრავ საინტერესო ამბებს უყვებოდა.

უფლის ნების გარეშე არაფერი ხდება – მოგვიანებით ნიკორწმინდელი ეპისკოპოსის მეუჯვე ელისეს ლოცვა-კურთხევით ძველ ნაეკლესიარზე აშენდა ონის გაბრიელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია, სადაც მამა ტარიელი ჯერ დიაკვნად, შემდეგ მღვდელმთავრად და წინამძღვრად მსახურობდა მეუჯვე ელისეს ხელდასმით.

2003 წელს გულის ოპერაციი დასჭირდა და იძულებული გახდა თბილისში გადმოსულიყო საცხოვრებლად, თავდაპირველად მიხეილ ტერელის სახელობის ეკლესიაში გაამწესეს, შემდეგ კი ბავშვთა მე-2 საავადმყოფოში გახსნა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელსაც სიცოცხლის ბოლო წუთამდე უდიდესი სიყვარულით და ერთგულებით წინამძღვრლობდა.

მისი უდიდესი ძალისმევით ტაძარი გამშვენდა, გალამაზდა, გაფართოვდა, მრევლი გამრავლდა, ეკლესიის კედლები უამრავი სასწაულმოქმედი ხატებით მოიფინა. მამა ტარიელი ყველას უყვარდა. იგი იყო ღირსეული მოძღვარი და ღირსეული წინამძღვარი. თავმდაბლობით და განსაკუთრებული სითბოთი გამოირჩეოდა. მიუხედავად ბოლო წლებში მძიმე სენისა და გაუსაძლისი ტკივილებისა, ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მასთან მისულ გაჭირვებულ და განსაცდელში მყოფ ადამიანებს. ის ეხმარებოდა ყველას, როგორც სულიერად, ასევე მატერიალურად, შეეძლო მოყვასისათვის უკანასკნელი თანხაც კი გაეღო.

როდესაც მღვდელმსახური გარდაიცვლება, მრევლი უპატრონოდ, მშობლის გარეშე დარჩენილად თვლის თავს და ეს საქმაოდ რთული გადასატანია. დეკანოზი მამა ტარიელი კეთილშობილი, მოწესრიგებული, გულისხმიერი, პატიოსანი, ალალმართალი მოძღვარი იყო.

დარწმუნებული ვარ იქიდან უფრო მეტად ილოცებს ჩვენი სულების გადასარჩენად. ის ახლა ღვთის წინაშე დგას და მთელი არსებით ღვთისმშობელს, ჩვენ მფარველ ანგელოზებს ესაუბრება და გვლოცავს.

არასდროს დამავინცყდება მამა ტარიელ კერძესელიძე, ღირსეული მოძღვარი, რომელსაც ჩვენი გასაჭირი გულთანა ახლოს მიჰქონდა, გვირჩევდა, ცოდვათაგან გვიხსნიდა, გვაზიარებდა, გვასწავლიდა.

მამაოს ჰყავს ღირსეული მეუღლე, მარიამ ნაცროზაშვილი, პროფესიით ფილოლოგი, წარმოშობით მთის რაჭის ულამაზეს სოფელ ჭიორიდან. მათ სამი ქალიშვილი და ორი შვილმვილი ჰყავთ. მარიამის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მთელი თავისი წიჭი, გული, სული საყვარელ მეუღლეს უძღვნა. ის მამა ტარიელის უერთგულესი, მისთვის თავდადებული ადამიანია. ავადმყოფობის ბოლო წლებში გაუსაძლის ტკივილების, ტანჯვის გამზიარებელი და მანუგეშებელი.

2014 წელის 16 ნოემბერს უდიდესი დანაკლისი განიცადა დედა-ეკლესიამ, მრევლმა, ოჯახმა, მეგობრებმა, თბილისმა, მთის რაჭამა.

გარდაიცვალა ყოფილი ჟვანიას სახელობის საავადმყოფოს, ამჟამად მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის საავადმყოფოსთან არსებული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი მამა-ტარიელ კერძესელიძე.

მთის რაჭამი გაზრდილი მოძღვარი ავადმყოფბას, უმძიმეს სენს ქრისტიანულად, ვაჟა-ცურად უმკვლავდებოდა. სიკვდილასაც ღირსეულად და მშვიდად შეხვდა. უნმინდესის, პატრიარქის ილია მე-II-ის ლოცვა-კურთხევით დასაფლავებულია ორთაჭალაში, იოანე მხედრის სახელობის ეკლესიის ეზოში. წინამძღვარი მისი ძმა მამა გიორგი კერძესელიძე.

მან თავისი მოძღვანეობით მართლაც სასახელო გზა განვლო, არავინ იცის, ვინ როდის წავა ამ ქვეყნიდან, თუმცა ადამიანის სიკვდილი არ არსებობს, ის მხოლოდ გარდაიცვლება, თვალს მიეფარება. მამა ტარიელ კერძესელიძემ გვიჩვენა სამშობლოს, ოჯახის, მშობლიური კუთხის, მოყვასისათვის თავდადების საუკეთესო მაგალითი.

რაჭის ყოველი სალოცავი შეენიოს მთის რაჭის სასახელო შვილის წინამძღვარ-დეკანოზ მამა ტარიელ კერძესელიძის უკვდავსულს. ნათელში ამყოფოს ღმერთმა. **რუსულან (მამა) რახევიაზილი – ისტორიკოსი (მრევლი)**



მარჯვნიდან პირველი დეკანოზი — მამა ტარიელ კერძესელიძე. მამა მერაბი, მამა შალვა როსტიაშვილი, მამა ტარიელის სტიპაროსანი გერგა ჩალაძე

ნათელი ოქმენ, უფალო

„შვანიას საავადმყოფოსთან არსებულ წმინდა გიორგის ტაძარს განაგებდა წინამძღვარი დეკანოზი მამა ტარიელი. იგი იყო გულწრფელი, მოსიყვარულე, გაჭირვებულის შემწე და დამხმარე.

მის ავადმყოფობას ძალიან განვიცდიდ. იგი ჩვენ გულებში უკვდავია, მან ისეთი დიდი სიკეთე დათესა, უფლის სიყვარულით მთელი საავადმყოფო მოაქცია. მისი სული უკვდავია“.

31 ლენინია ცირკიდა (მრევლი)

„წეტა იმ დროს, როცა თქვენ კლინიკაში მოხვედით და სამლოცველოს გახსნა გადაწყვიტეთ, მამაო. მაშინ სრულიად ახალგაზრდა იყავით და ჩვენც ახალგაზრდებს იქ მომუშავე ყველა პერსონალს თვალი აგვიხილეთ და გვასწავლეთ გზა უფლისკენ. მე პირადად უფრო მეტად შევიყვარე უფალი და ყველა წმინდა მამები, წმინდა დედები. მამაო, ბევრს განუხებდით ჩვენი წუნუნით, ჩვენი გოდებით, ჩვენი გულისტყივილით და თქვენ არასოდეს უკან არ დაგიხევიათ, ოღონდ თქვენი ლოცვა-კურობევით მრევლს რამე შველებოდა. მამაო, ყველას გვაკლია თქვენი კეთილი გულით დალოცვა. თქვენი გახსნების დროს ყოველთვის თვალზე ცრემლი მოგვდის და გული გვტკივა. ღმერთმა კარგად გიმყოფოთ მეუღლე, მარიამი, თქვენი მონაგრის გასაძლიერებლად. ნათელი გედგათ სამუდამო სასუფეველში.“

თქვენი კეთილად გამხსენებელი პარბარი (მრევლი).

მინდა მოგითხროთ ჩემი ძვირფასი მამაოს-მამა ტარიელ კერძესლიძის შესახებ, რომელიც ჩემი მოძღვარი იყო. ის მარტო მამაო არ იყო, ჩემთვის ის იყო მეგობარი, ახალობელი, ოჯახის წევრი. მამაო სწავლობდა ჩემს სულს, ხედავდა ჩემს სიხარულს, იმედებს, პრობლემებს და დიდ ტკივილს, რომელი ტკივილიც ანგრევდა ჩემ სულს და გულს. ანგრევდა მთელი 10 წელი. ტკივილი გამოწყვეული იყო ჩემი 39 წლის შვილის გარდაცვალების გამო რომ დამატყდა თავს. გაბოროტებულს არც კი ვიცოდი როგორ გამეგრძელებინა ცხოვრება. მამაო მირეკავდა სახლში, მიშვიდებდა, მისხნიდა და მითხვდა მივსულიყავი ტაძარში. არ შეიძლებოდა მისთვის არ დაგვჯერებინა. ჩემი მამაო კურნავდა ჩემს სულს და გულს. მისმა დაუღალავმა მცდელობაში შედეგი გამოიღო. მან მე მომაპრუნა ტაძრისკენ და ცხოვრებისაკენ, მე უკვე სტიქაროსანი ვარ, რისთვისაც ჩემი მამაოს მადლიერი ვარ.

მსუბუქი ყოფილყოს მამა ტარიელის თვის თბილისის.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული.

რაული ჩილუნაძე სტიქაროსანი 74 წლის

პერე ლენინის ცხოვრების გვარი

შინაარსიანი და დატვირთული გზა განვლო ამ ქალბატონმა, რითაც გარშემო მყოფთ რწმენის, მოყვასის სიყვარულის, ერთგულებისა და კეთილშობილების ხილული მაგალითი დაუტოვა.

რასაც მისი განვლილი ცხოვრება გვკრინახობს: გამორჩეული აქტიურობით, სკოლაში შემოქმედებითად გატარებული წლები, ონის რაიონის სოფელ ხეითსა და კვაშნიერში, წარმატებით დამთავრებული ქუთაისის სამედიცინო ტექნიკუმი, უფროსი მედიდის აღიარება კვაშნიერის 12 საწლიან საავადმყოფოში. შემდეგ დაოჯახება, სამჯერ დედობრივი სიყვარულის უნაზესი განცდა და ჭრებალოს საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილება... თითქმის ნახევარი საუკუნე ემსახურა ქვემო რაჭაში ჭრებალოს ზონის სოფლების მოსახლეობას დაუზარლად, ახალგაზრდული ენერგიით. გამოცდილი ექიმები დიაგნოზის დასმისას ჭეუასაც რომ ეკითხებოდნენ და ისტორიის შედეგენასაც მას ანდობდნენ. ეიმედებოდათ ყველგან და ყველაფერში კოლეგებს, მეზობლებს, სანატესაოს, შვილების მეგობრებსაც კი. მასში ხომ ერთად იყო თავმოყრილი შვილის, დის, მეუღლის,



დედისა და ბების გაერთიანებული ბუნება შერწყმული პატიოსნებასთან და მაღალ პროფესიონალიზმთან. თითქმის გრძნობდა აღსასრულს – სამი დღით ადრე შეიარა ყოფილი სამსახურის შენობაში. დაემშვიდობა შემორჩენილ თანამშრომლებს.

სიცოცხლის ბოლო წუთებშიც კი სამებელი სიტყვები ამოსდიოდა პირიდან, ლოცავდა ყველას: შვილებს, შვილიშვილებს, საახლობლოს, სამეზობლოს, კუთხესა და ქვეყანას.

მეუღლის დარდი გაჰყვა, რა თქმა უნდა ვაჟა კენჭაძეს უჭირს მეუღლის გარეშე ცხოვრება, მაგრამ ნიკა, ეკა, მარიკა დედის დანაბარებს არ უღალატებენ, გააძლიერებენ მამას. სხვაგვარად არც შეიძლება. დრო ელვისებური სისწრაფით გარბის, თუმცა შვილებმა იციან, რომ დედის დატოვებულ სახელს დრო და უამი ვერაფერს დააკლებს.

79 წლის ასაკში განერიდა საწუროს, რომელმაც ახლობლების ალალი ცრემლი გაიყოლა თან.

ღმერთს შევთხოვთ ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაუნათოს და დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი.

თანასოფლებები და ახლო ნათესავები

თბილისის ქრისტონების კინოსამართი

ქადაგის ეკრანზე

საქართველოს სახალხო არტისტი ოთარ კობერიძე დაიბადა 1952 წლის 17 დეკემბერს ქ. თბილისში. 1948 წელს დაამთავრა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი და სოხუმის დრამატულ თეატრში მსახიობად დაიწყო მუშაობა. 1941 წლიდან მან თავის მოღვაწეობა კინო ხელოვნებას დაუკავშირა, წამყვანი და დასამახსოვრებელი როლებიც შეასრულა კინო ფილმებში: „შავ მთებში“, „ბაში-აჩუკი“, „სხვისი შვილები“, „ისინი მიდიოდნენ“



აღსასრულის ჟამზ



ოთარ კოპერიძე

აღმოსავლეთისაკენ“, „მეფის საცოლე“, „პატარა უფლისწული“, „წითელი კარავი“, „რუსტამის გმირობანი“, „დაისი“ და ა.შ.

ბატონმა ოთარმა გარდა კინომსახიობობისა სატელევიზიო ფილმების შექმნაშიც მოსინჯა თავისი შესაძლებლობები. იგი ავტორია სატელევიზიო ფილმისა „გამსვლელი პაიკი“ და აღმოსავლეთის

ექსპრესი“, დადგა სატელევიზიო სპექტაკლები „მეშვიდე“, „მოცეკვავე კაცუნები“, „სურათები“. აქტიური მონაწილეობა მიიღო მხატვრული ფილმის შექმნაში „ელოდეთ მოკავშირეს“, რომელიც გადაიღო „ქართულმა ფილმმა“ დოვჭენკოს სახელობის კინოსტუდიასთან ერთად.

ბატონი ოთარი, გარეგნობით ახოვანი, მხარბეჭიანი და ვაჟუაცური შეხედულების იყო. მას საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულომ „რაინდის ორდენი“ მიანიჭა წარწერით: „ლირსეულ

მამულიშვილს, ქართული ხელოვნების მშვენებას, ნიჭიერ მსახიობსა და საზოგადო მოღვაწეს, ქართული ჯიშის მატარებელს, ჭეშმარიტ რაინდს, ბატონ ოთარ კობერიძეს“. ბატონი ოთარი პირველია, ვისაც დამსახურებულად წილად ხვდა ეს საპატიო ჯილდო. მართლაც რომ ბატონი ოთარი, თავის შესანიშნავ მეუღლე ლია ელიავასთან ერთად ქართული ხელოვნების მშვენება იყო.

2004 წლის 15 თებერვალს ბატონ ოთარს „წლის ადამიანი“ საპატიო წოდება მიანიჭეს, რომელიც გაზითმა „რაეომ“დააწესა. ჯილდოს გადაცემის დროს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მაღლიერი მაყურებელი ტაშით მოაცილებდა ბატონ ოთარს სცენისკენ, ხოლო ეკრანიდან მოსჩანდა მის მიერ განსახიერებული როლი კინოფილმ „ბაში-აჩუკიდან“.



ლია ელიავა

დროა ქართველება ერთმანეთის სიყვარული ვისეავლო

ოთარ კობერიძე საბჭოთა კინო ეკრანის უდაოვარსკვლავია. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მსოფლიოს არცერთ კინომატოგრაფს არ ღირსებია შესახედაობით ისეთი ბრგე ვაჟუაცი, როგორიც ოთარ კობერიძე გახსლდათ. პოსტსაბჭოთა სივრცის ქალები მისი გულისითვის ჭკუას კარგავდნენ. ცნობილი ფაქტია, პეტერბურგში, ნევის პროსპექტზე მოსეირნე ქართველ მსახიობს, ოთარ კობერიძეს უკან მასზე მოტრფიალე ლამაზების გუნდი მოჰყვებოდა, რომლებიც აღმერთებდნენ მას. „ბაში-აჩუკი“ ქართველი მზე ჭაბუკის დარაინდობის სიმბოლოა. უყურებ მის ვაჟუაცურ მიხვრა-მოხვრას

და შენ თავს ეუბნები, რა ბედნიერი ვარ, რომ ქართველად დავიბადე-მეთქი. უამრავი როლი აქვს შესრულებული, როგორც საბჭოთა კავშირის, ასევე ჩვენი მოძმე დემოკრატიული რესპუბლიკების კინომატოგრაფიაში. პოლივუდს რომ მისი აღნაგობის და პირ-სახის მსახიობი ჰყოლოდა, ის აუცილებლად მსოფლიო დონის ვარსკვლავი იქნებოდა. დავუკვირდეთ პოლივუდის ფილმებს, ვარსკვლავები არც თუ ისე დიდი სიმაღლით გამოიჩინა, ეკრანზე ხდება მათი ტექნიკური ხერხით ზრდა. ოთარი კი ულამაზესი ვაჟუაცი იყო. დასანანია, რომ ამ უაზრო სოციალურ ქსელში მას სახელი შეუბლალეს — ნაციონალურ პარტიასთან ურთიერთობას და სიმპათიას უწუნებდნენ. ეს მისთვის არავის უნდა აეკრძალა, კაცია და გუნება. ოთარი არ იყო უბრალო ადამიანი, რომელიც რაიმე თვისებითა თუ გამორჩეული ქცევით არ ყოფილიყო. იმ კაცს იმ დროს ასე სწამდა და მორჩა. ამის მიღმა ოთარ კობერიძე ბუმბერაზი ადამიანი იყო.

დროა ქართველებმა ჩვენი საკუთარი შვილების დაფასება ვისწავლოთ.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა ოთარ კობერიძის სული.

გივი სიხარულიძე



„რაჭელები“ №4



- ◆ ამბროლაურის მუნიციპალიტეტმა სოციალური პროგრამის შესაბამისად, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მრავალშვილიან დედებზე გასცა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 300 ლარის ოდენობით.
- ◆ ასევე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ (2000 სარეიტინგო ქულის მქონე) ოჯახებს მიეცათ შელავათი ელექტროენერგიის გადასახადზე, ყოველთვიურად 5 ლარის ოდენობით.
- ◆ 2014 წლის სტიქიით დაზიანებულ სოფლებში განახლდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (ჭყვიში, ჟოშხა, თხმორი, ბაჯი, პირველი ტოლა, მეორე ტოლა, ცახი, გორისუბანი და ღადიში).
- ◆ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მარჩენალდაკარგულ ოჯახებს გაეწიათ ფინანსური დახმარება 200 ლარის ოდენობით.
- ◆ მარტის თვიდან ფუნქციონირება დაიწყო ქვედა ღვარდის ხიდმა მდინარე შარეულაზე.



- ◆ 1 აპრილიდან გაიხსნება საბავშვო ბალები სოფელ ურავში, ბოსტანასა და ჭყვიშში.
- ◆ ამჟამად მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო მუშაობენ საპროექტო სამუშაოებზე.

რეგიონის ხმა

- ♦ 2015 წლის 12 მარტიდან 25 მარტის ჩათვლით სოფლის მხარდაჭერის პროექტით განსახორციელებელი პროექტების შერჩევის მიზნით მუნიციპალიტეტის გამგებელმა მალხაზ ლომთაძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ ერასტი მეტრეველმა, გამგებლის პირველმა მოადგილემ ფარნაოზ ბაკურაძემ, გამგებლის სამსახურის უფროსებმა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატებმა შესვედრები გამართეს მუნიციპალიტეტის 69 სოფელში. ისინი მოსახლეობას „სოფლის პროექტის“ მნიშვნელობაზე ესაუბრნენ, ასევე მოისმინეს მოსახლეობის პრობლემები და აღუთქვეს შესაბამისი დახმარება.

**ამბობულის მუნიციპალიტეტის გამგებული მუნიციპალიტეტის შენების მართვაზე
ხარხთან შეხვერთების მართვაზე**



**აკრის თვირთ გაიზუგა „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით
შენებული პრიორიტეტის განხორციელების სამუშაოები.**

ბეჭედის მეტრიკულის ესთეტიკური გინეკოლოგის ცენტრი



ბეჭედის მეტრიკულის ესთეტიკური გინეკოლოგის ცენტრი მუდამ ზრუნავს საკუთარი პაციენტების კომფორტზე და გთავაზობთ შემდეგი სახის მომსახურეობას:

ჩვენი სერვისებია:

1. **VRS** – ინტიმური გაახალგაზრდავება
2. **SUI** – შარდის სტრესული შეუკავებლობის მკურნალობა
3. პივმენტშეცვლილი ვულვის ფრაგმენტაცია
4. ტკივილი სქესობრივი აქტის დროს
5. ლიბიდოს დაქვეითება
6. ატროფიული ვაგინიტი
7. საშოს კედლების დაწევა



ჩვენი გთავაზობა:

1. ნაცხი ბაქტერიოსკოპია – ბაქტერიოლოგი
2. პაპ - ტესტი
3. **SR** – დიაგნოსტიკა
4. **HPV** – დიაგნოსტიკა
5. კოლპოსკოპია
6. ექოსკოპია
7. მამოლოგის კონსულტაცია
8. ენდოკრინოლოგის კონსულტაცია
9. თერაპევტის კონსულტაცია



აქცია სიტყვა გინუკოროგიაშვილი

Action II Petite LaDy –

უსაფრთხო და საიმედო ტექნოლოგია

- ♦ ახალი სიტყვა გინუკოროგიაშვი. ვაგინალური კორექციის ინოვაციური სტანდარტი
- ♦ კომფორტული ამბულატორული მანიპულაცია
- ♦ არ საჭიროებს ანესთეზიას.
- ♦ შედეგი პირველივე სეანსის შემდეგ.
- ♦ არაინვაზიური, უსისხლო, უმტკივნეულო გინუკოროგია.
- ♦ ინტიმური პლასტიკა საშოს კედლის დაწევის დროს.
- ♦ შარდის სტრესული შეუკავებლობის მკურნალობა.

აქცია სტანდარტი გინუკოროგიაშვილი



ბეჭა გეტაველი

თბილისი. პაპინის
გამზ. 4^ა IV სართული

ტელ: 2 23 80 43
+995 599 23 35 23

“ნინო რეზონაშვილის გამოხვამლობა”

გთავაზობთ ნიგნების, ფასიანი

ქალაქის ბაზარის,

აცირქა-დაკაბაზონებას.

დარჩეთ ნომერზე: 599 74 68 10

ჩემი სოფელი

გიოს რაჭა - მსამა რატა...

ღიძი - ღიღიძა მრავანის აკუანი ცრადიცია, კულტურა და გთნოგრატია

ბევრი რამ მსმენოდა მთის რაჭის მშვენიერ სოფლებზე - ღებზე, ჭიორაზე, გლოლაზე, უნერაზე, შოვზე, მაგრამ თვალით ნანახმა მართლაც გამაონა... რაჭის ეპისკოპოსის, **მეუფე ელისეს (ჯოსაძე)** ლოცვა-კურთხევით და მამა ნოეს (კერესელიძე) შემწეობით, მთის რაჭაში, ჯერ ონში, შემდეგ სოფელ ღებში გავემგზავრე. მამა ნოე ონის გაბრიელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძრის წინამძღვარია, სხვა ტაძრებშიც წირავს. რაჭის ეპარქიაში სულ ოთხი მოძღვარი მსახურობს, ღვთის მადლით, ოთხივენი ერთმანეთზე უკეთესი მოღვაწე მამები არიან - თავმდაბლობით, მრევლისადმი მზრუნველობით და საღვთო საქმეების კეთებით გამორჩეულნი. რადგან მოძღვრების ნაკლებობაა, თითოეულ მათგანს რამდენიმე ტაძარში უწევს მსახურება. იმდენად რთულია რაჭაში ერთი სოფლიდან მეორეში წასვლა, რომ თუ ვერ მიუსწარი ტრანსპორტს, შესაძლოა ღამის გათევა ქუჩაში ან კიდევ ვიღაც მადლიანის ოჯახში მოგინიოს. ონში მრევლის წევრი სერაფიმე ბიჭაშვილი და ტაძრის მესანთლე მარიამ ჩიკვილაძე დამხვდნენ და ონის სასულიერო ცხოვრებაც გამაცნეს.

- სადაც ახლა წმინდა გაბრიელ მთავარანგელოზის ტაძარი დგას, ადრე სოფელ მოედნის სახელით იცნობდნენ. ონში წინათ კინოთეატრის ადგილას წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაც იყო. რადგან ჯერჯერობით ვერ ხერხდება ტაძრის აშენება, მეუფემ კინოთეატრის გვერდით ჯვარი დააბრძანა. გაბრიელ მთავარანგელოზის ტაძარი გაიხსნა 1996 წელს და პირველი წირვა, მეუფის კურთხევით, მამა ილია ხომასურიძემ ჩაატარა, - მითხრა მარიამმა, - მერე აქ მსახურობდა მამა ტარიელ კერძესელიძე. უკვე რამდენიმე წელია, ტაძარს დეკანოზი ნოე კერძესელიძე წინამძღვრობს. მამა ნოე ყველანაირად ცდილობს გააძლიეროს ხალხი რწმენაში. ძალიან მზრუნველი მოძღვარია და მრევლისთვის სულიერ და ფიზიკურ დახმარებას არ იშურებს.

ტაძრის გვერდით ორსართულიანი ლამაზი ძველებური რაჭული ოდა დგას. აქ წინათ მმაჩის ბიურო ყოფილა, დღეს დაკეტილია. აქაური მრევლის და მოძღვრის დიდი სურვილია, ეს შენობა ტაძარს გადაეცეს.

- ერთ დროს სამი მღვდელი წირავდა ონის ტაძარში, - საუბარში ჩაერთო სერაფიმე, - მიუხედავად ავადმყოფობისა, მამა ნოე ყველანაირად ცდილობს, მრევლს ემსახუროს. ძალიან გვიყვარს მამა ნოე,

მისი ოჯახი. მომავალში შეიძლება ღვთის წყალობით მედავითნეობა ვიტვირთო. ჩვენს ყოფა-ცხოვრებას თუ იყითხავთ, ისე გსულდგმულობთ, როგორც ყველა. დაცარიელებულია აქაურობა. ზამთრის მობინადრენი რამდენიმედა შემოვრჩით რაჭას.

...ღების ყვითელი ავტობუსი ისე თვალის დახამსამებაში შეავსეს „ყველაზე სწრაფებმა“, რომ უადგილოდ დარჩენილ მე და ჩემს ბიძაშვილს, ივანე ცაგურიშვილს, ძრავაზე მოგვიხდა დასკუპება.

თვალებგაფართოებულები შევცქეროდით ავტო-ბუსში ამომსვლელთ. სრულიად განსხვავებული საუბარი, კილო, ქცევა... გზადაგზა ხუმრობა არ მოგველებია. წინ ისეთი გზები გველოდა, უკეთესს ვერ ინატრებდა კაცი. მძღოლის ოდნავი არასწორი მოძრაობა და რიონში ამოყოფდი თავს.

ყოველ სოფელში წმინდა სალოცავები გვხვდება.

ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ მთის რაჭა მდებარეობს მდინარე რიონის სათავისა და გლოლის ან ჭანჭახის წყალს შორის. იგი მოქცეულია კავკასიონის მთავარი ქედისა და შოდა-კედელას ქედს შორის. მისი საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 3800 მეტრს აღემატება. მთის რაჭა შემოსაზღვრულია მაღალი მთებით: ფასის მთა, ლაბო, წითელი, წინვარგა, ბურჯულა, შოდა და სხვა. ტყიანს ალპური ზოლი მოსდევს, შემდეგ იწყება ტიტველი კლდეები და თოვლყინულოვანი წვეტიანი მწვერვალები. ეს მყინვარები ასაზრდოებენ რიონის სათავის ტოტებს: ჩვეშურას, ნონარულას, ჭანჭახს და სხვა. აქ ზამთარი თოვლიან-ყინვებიანია, გაზაფხული გვიან დგება, შემოდგომა - ადრე, ზაფხული გრილია და მოკლე.

მთის რაჭა მოიცავს ღებისა და გლოლის თემებს და შედგება სამი სოფლისგან. ესენია ღები, ჭიორა



ონის გაბრიელ
მთავარანგელოზის
სახელობის
ეკლესია

ჩემი სოფელი

და გლოლა. დასავლეთით მას ესაზღვრება რაჭა-სვანეთის ქედი, რომლის უმაღლესი მწვერვალებია - ჭუთხარო და ლაფინყარი. ერთი ბილიკით აქედან ფასის მთით მარჯალში გადადიხარ, ვაცის წერით - სვანეთში. ჩრდილო-აღმოსავლეთით მთის რაჭას ესაზღვრება ოსეთი, ყარაჩაეთი და ბალყარეთი. ლებში, ჭიორასა და გლოლაში ადამიანს უცხოვრია ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში. ამას მონმობს სოფელ ლების მახლობლად, ბრილში აღმოჩენილი ბრინჯაოს ხანის აკლდამები. დღევანდელი მთის რაჭის ტერიტორიაზე სვანური მოსახლეობა გავრცელებულა და ეს კუთხეც XV საუკუნის პირველ ნახევარში სვანეთს ეკუთვნოდა. სვანური ყოფის დამახასიათებელი ნიშნები დღეს უკვე აღარ ჩანს.

ლების ეტიმოლოგია ასეთია: სვანურად „ღვებ“ - ჩაღრმავებულ ადგილს ნიშნავს. სოფელ ლების დაარსებას თქმულება მიაწერს ლეჩხუმიდან გამოქცეულ მლებავს, რომელსაც კაცი შემოკვდომია და მთის რაჭაში გახიზულა. მას აქაც გაუგრძელებია ხელობა და სოფელსაც ლები დარქმევია. შემდეგ ლები სხვადასხვა მხრიდან გადმოსახლებული გვარებით მოშენებულა. პირველად აქ უნდა გადმოსახლებულიყო ჩვეშოდან ლობძუანიძის წინაპარი - ხოშიტა ლობძუანიძე, რომელიც დაფუძნებულარიონის მარჯვენანაპირზე და კოშკიც აუშენებია. შემდეგ ხიდურიდან გადმოსულან გოგრიჭიანები (ესენი უნდა იყვნენ გარაჭველებული სვანები). მათ შესახებ ასეთი გადმოცემა არსებობს: სვანეთის მთავარს დადეშქელიანს და რაჭის ფეოდალს ჯაფარიძეს ერთმანეთში მტრობა ჰქონიათ. ჯაფარიძები თავიანთი ლაშქრით დაბანაკებულან სვანეთის საზღვარზე „გორის ბოლოს“. დადეშქელიანს შეშინებია და მათვის დაზავება შეუთავაზებია. ჯაფარიძეს დადეშქელიანისთვის მოუთხოვია ერთი სავსე ჩექმა ჭიანჭველას ტვინი. ვინაიდან ამის შესრულება შეუძლებელი იყო, დადეშქელიანს ჯაფარიძისთვის მიუცია ხიდურში მცხოვრები შვიდი კომლი გლეხი გოგრიჭიანი. გამობრუნებისას ჯაფარიძეს ერთი კომლი - გოგრიჭა გოგრიჭიანი უჩუქებია აზნაურ არეშიძისთვის, რომელსაც ის ლებში დაუსახლებია. დანარჩენები კი რაჭის სხვადასხვა კუთხეში დაუგზავნია. შოდის მთიდან ლებში გადმოსახლებულან ბოხაშვილები, საგურამოდან კი - გავაშელიშვილები.

გობეჯიშვილებს დიგორიდან გამოქცეულად თვლიან. ძმებს - გობეჯას, ხამიჯას და იას დიგორში კაცი შემოკვდომიათ და თემისგან განდევნილები მისულან რაჭის მთავარ წერეთელთან და დასახლების ნებართვა უთხოვიათ. გზად ლები გაუვლიათ და ძლიერ მოსწონებიათ. სოფელ სადმელთან მელა მოუკლავთ და შემდეგ წერეთელს ხლებიან. გობეჯა და ხამიჯა ცხენზე მსხდარან, ია კი ჯორზე. წერეთელმა მგზავრები მიიღო, მაგრამ მათ შორის უმეტესი პატივი იას სცა, როგორც ჯორით მოსულს. შეორე დღეს ჰკიოთხა სტუმრებს, სად ისურვებთ დასახლებასო. იას

მოუხსენებია, - იქ დამასახლე, სადაც მელა მოვკალიო. ხამიჯას უთხოვია, - დიგორელებთან შემარიგე და უკან გამაბრუნეო. გობეჯას კი ლები მოსწონებია. წერეთელს შეუსრულებია მათი თხოვნა. იასთვის აზნაურობა უბოძებია და სადმელში დაუსახლებია. აქედან მოდის იაშვილების გვარი. გობეჯა ლებში დასახლებულა და გობეჯიშვილების გვარისთვის მიუცია დასაბამი. ხამიჯა დიგორში გაბრუნებულა, სადაც მისი შთამომავალი ხამიჯავები დღესაც ცხოვრობენ.

სოფელ ლებში თითოეულ საგვარეულოს თავისი უბანი აქვს. გვარი შედგება რამდენიმე კომლისგან. ყველა მათგანს განმასხვავებელი სახელი აქვს, რომელიც დაკავშირებულია წინაპრისა და ოჯახის უხუცესის სახელთან, ზოგჯერ წარმოშობის ადგილთანაც. მაგალითად, ლობუანიძები არიან: ხოშირიანი, ნანუკიანი, ლაშეუანი, ზვიადეენი, ჯოტეენი, სვანენი, ჯოჯოენი და სხვა.

გობეჯიშვილები - შალიკიანი, ერმოლეენი, გოგენი, ნინეენი, გოტოიანი, გივიტიანი, ქუტუნენი, ჯამოენი, ოთუკეენი და სხვა. გოგრიჭიანები - ჩხუტეენი, ლეჩეუმელნი, საგენი, მამუჩიანი....

დიდსა და პატარა ლებს მდინარე რიონი ყოფს. გზები ქვიანია. სახლების უმეტესობა ძველია და ქვითაა ნაგები. აქა-იქ ხის ოდა-სახლებსაც შეხვდებით. აქაურებს განსაკუთრებით ახასიათებთ რწმენა და ლვთის სიყვარული, სალოცავებს პატრონობენ და ყოველ დღესასწაულს სათანადოდ ხვდებიან. შემაღლებულ ადგილას ლებელების მფარველი დიდი რკინის ჯვარი ლამით განათებულია. შუა სოფელში მაცხოვრის სახელზე დიდი ტაძარი შენდება. დიდ-პატარა მის მშენებლობაში მონაწილეობს. თვალშისაცემია ქალაქიდან ჩასული ახალგაზრდა ლებელების სიმრავლე. ზაფხულობით ივსება აქაურობა. მოაგარაკეთა წასვლის შემდეგ მოხუცებილა რჩებიან სოფლის დარაჯებად.

- ჩვენ კამეჩიანთები გვევია, - მიყვება ბატონი ვახტანგი, - პატარა და დიდ ლებს ადრე ხიდი აკავშირებდა, ნაქალაქარის ხიდს ვეძახდით. ხიდის ასაგებად მძიმე მორები მოუთორევიათ ლებელებს. მისი მორევა ვერავინ შეძლო. ჩემი გვარის წინაპარ სამ ძმას აუზევია და ხიდად გაუდვია. ხალხს უთქვამს მათვის - რა კამეჩიბივით ღონივრები ყოფილხართო. მას შემდეგ ჩვენს გვარს კამეჩიანთებს ეძახიან. ლებში არიან ასევე მჭედლიანები. მათი ყველა წინაპარი მჭედლები იყო. არიან კიდევ ალუკეენი, ჩოდეენი, ლვთისუკეენი... ლვთისუკეენთა წინაპარს შვილი არ ჰყოლია. ლოცვით გასჩენიათ და უთქვამთ, - ამას ლვთის უკეთესი ვინ მოგვცემდაო.

უბები

სოფელი ოთხ უბნად იყოფა - ჭალეევი, სალაშქრო, ციხისკარი (ადრე აქ ათი საუკუნის განმავლობაში მაცხოვრის ტაძარი იდგა) და საროკავა. სალაშქროზე წინათ ლაშქარი იყრიდა თავს... ჭალეევი იმიტომ

ჩემი სოფელი

ჰქვია, რომ აქაურობა ჭალაა, ციხისკარი - მაშინდელი ქალაქის ახლობელი უბანი ყოფილა, საროკავა (საცეკვაო) ვაკეა, აქ გასართობი იყო, აქ დადიოდნენ ღებელები და ფერხულს ცეკვავდნენ. მეხუთე, ცალკე უბანია პატარა ღები. აქ ძირითადად გოგრიჭიანები, ბოხაშვილები, ალიძეები, გავაშელიშვილები ცხოვრობდნენ. ბერიშვილის გვარი გლოლიდანაა გადმოსული. ადრე ზედსიძედ მოსულა სოფელში და გამრავლებულა.

ტრადიციები

- ღებილარიბი სოფელი ყოფილა, - განაგრძობს ჩემი მასპინძელი, - მესაქონლეობას კი მისდევდნენ, მაგრამ მაინც უჭირდათ. ამიტომ მეგზურებად დადიოდნენ. თითქმის ყველამ იცოდა რუსული, ყარაჩაული და ოსური.

სტუმარმასპინძლობა კარგი იცოდნენ. სტუმრებს აუცილებლად ბატყანს დაუკულავდნენ, ხშირად ხბოსაც. მასპინძელი სტუმარს მიანოდებდა პურს და ნიშნად სიყვარულისა, ერთად გატეხდნენ.

პირველ სიტყვას სუფრაზე ოჯახის უფროსი იტყოდა. მასპინძელი სტუმარს თუ ღამით ფარდაგულას გადააფარებდა და თან თბილ ბუხართან მოასვენებდა, ეს დიდი პატივი იყო. ოჯახის უფროსი ქალიშვილი სტუმარს ფეხებს დაბანდა და ისე დააწვენდა. სტუმარს თან საგზალს გაატანდნენ და გზასაც დაულოცავდნენ.

სტუმრის პატივისცემა განსაკუთრებით ნადირობის დროს მუდავნებოდა. მარხვის დროს ღებელი არ ნადირობდა. უფრო მეტად მარიამობის მარხვის შემდეგ იწყებოდა სოფელში ნადირობა. პირველად ნანადირევს წევულს არგუნებდნენ - სიმბოლურად ჯიხვის რქებს მიართმევდნენ. თუ გზაში ვინმე შემოხვდებოდა, ნანადირევი მისთვის უნდა გაენანილებინა. დანარჩენს შინ მიიტანდნენ. მას პირველად ოჯახის უხუცესი წევრი მიირთმევდა, თან დაილოცებოდა - ეს ერთი და სხვა მრავალიო.

ღებში კიდევ ასეთი ტრადიცია გვაქვს, რომელსაც „დიდება ბრძანეს“ ვეძახით, - ამბობს ბატონი ვახტანგი, - ეს არის ჯვრის გამოხსნის დღესასწაული. ჩვენში ერთი წყალობა ბათხაძე ყოფილა. შემთხვევით სიბნელეში მსხლის ხის ქვეშ წამომჯდარი კაცი დათვი ჰგონებია. თოფი უსვრია. დათვის ნაცვლად შვილი შერჩენია ხელში. ამ დროს ღების სალოცავიდან სვანებს ძვირფასი ჯვარი წაულიათ. წყალობას უფლისთვის აღთქმა მიუცია, - ჩემი შვილის სისხლს მაშინ მოვიხსნი, როცა ამ ჯვარს ღების მაცხოვრის ეკლესის დავუპრუნებო. წასულა და მოჯამაგირედ დასდგომია სვანებს. ერთხელ, წირვის შემდეგ, დაკეტილ საყდარში დარჩენილა და ჯვრის გამოტანა სარკმლიდან მოუნდომებია. თავად გამოსულა, მაგრამ ჯვრის გადმოტანა გასჭირვებია. შესთხოვა თურმე უფალს, - დალოცვილო მაცხოვარო, იდრიკე თავი, თუ არა შენც რჩები და მეცო. ისმინა უფალმა - ჯვარი დაიდრიკა. ეს მომხდარა ყველიერის დიდ ხუთშაბათს.

მას მერე დააწესეს ღებელებმა „დიდება ბრძანეს“ დღესასწაული. წინა დღეს გათენებამდე დადიან მოხუცები სიმღერით:

„დიდება ბრძანე მაცხოვრისა, ნშინდა გიორგისა, ზედ ქალაქშია ჯვარცმისა. შეგეწიოთ მისი მადლი“. მერე დააყოლებენ: „დიდება ბრძანე, მაცხოვრის ჯვარი მოვაბრძანე“. მთელი სოფელი სუფრას მიუსხდება და „დიდება ბრძანეს“ დღესასწაულს აღნიშნავს.

საღლეგრძელოები

ყველაზე მეტად გამორჩეულია მონაგრის და გარსაგისის სადღეგრძელოები. გარსაგისი, იცით, რა არის? - მიხსნის ბატონი ვახტანგი, - ქე რომ შენი მონაგარი გყავს - ოჯახი, შვილები, გარსაგის ვეძახით იმას, რომელიც გვარს, გენს და სისხლით ნათესაობას გვაძლევს.

ცყარო

ახლანდელი მაცხოვრის ეკლესიასთან თურმე ცივი წყარო მოდიოდა. მერე სოფლის ცენტრში გადმოიყეანა ხალხმა. იქევა კიდევ რამდენიმე წყარო - ბინულა, საროკავა, ქვაბთათანა.

დუროიანი ციხესახლი

სვანური მურყვამის ტიპის სამ-ოთხსართულიანი ღებური დუროიანი სახლი ერთდროულად იყო საცხოვრებელი და საბრძოლო თავდაცვითი ნაგებობა.

პირველი სართული სამეურნეო დანიშნულების იყო, მეორე და მესამე - საცხოვრებელი, მეოთხე - შენობის დამაგვირგვინებელი სართული - დუროიანი ქორეფი კი საბრძოლო ბაქანს წარმოადგენდა.

დუროიანმა სახლმა გაუძლო დრო-უამს. XX საუკუნის დასაწყისში ასზე მეტი ასეთი ნაგებობა არსებობდა. დღეს ერთიდაა პირვანდელი სახით შემორჩენილი, რომელიც გადაუდებელ შეკეთებას და დაცვას საჭიროებს.

ღებური კოშკი ანუ „დედაღვთისა“

ეს კოშკი პატარა ღებშია. ულამაზესი სანახავია აქაურობა. მართალია, ამ კოშკს წინათ საბრძოლო



ჩემი სოფელი



დანიშნულება ჰქონდა, მაგრამ დღეს აქ დებელებს სალოცავი აქვთ მოწყობილი. მას განსაკუთრებით უშვილო ოჯახები ეველრებიან. „დედალვთისადან“ ხელისგულივით მოჩანს მთელი დები, თითქოს თავის კალთას აფარებს აქაურობასო.

თევრებოს მთავარანგელოზი

თევრეშოში, კლდის ქიმის თავზე, მთავარანგელოზის სახელობის თეთრი ქვის ეკლესია მდგარა. ამჟამად იქ მხოლოდ ტაძრის, ციხესიმაგრისა და გალავნის ნაგრევებია. თევრებოს ძველი ტაძრის მახლობლად, ტყის პირას, არის სალოცავი, რომელსაც ხალხი „ქრისტე მეუფეს“ უწოდებს.

ბრილის მთინდა გიორგი

„სხუა მთიულეთის ციხე და სოფელი ბრილი, ოცდაოთხი კუამლი კაცი, ერთი ეკლესია თხუთმეტი პატიოსნით ხატითა და მისით წიგნებითა სრულობით შემკობილი“, - წერია ისტორიულ წყაროში. ახლა იქ ნანგრევებილა. ბოლო ხანს წმინდა გიორგის ეკლესიის ნანგრევები ნაწილობრივ გაინმინდა, შეკეთდა, გადაიხურა და სალოცვადაც დადიან დებელები.

ცოტა მოშორებით, რიონის ხეობაშიც ყოფილი ეკლესიის ნანგრევები. ვაჟა გობეჯიშვილს ეს ადგილი პატარა სოფელ ფიცრისულად მიაჩნია.

სათხაურას ჯვარი ცელისა

თევრებოს და ბრილს შორის, ხოფითოს მოპირდაპირედ, ლამაზად გადმოჰყურებს რიონს მაღალი კლდე, რომლის წვერზეც შუა საუკუნეების სათვალთვალო კოშკის ნანგრევებია შემორჩენილი. როცა კოშკმა თავდაპირველი ფუნქცია დაკარგა, სალოცავად უქცევიათ დებელებს და „ჯვარი წყლისას“ სახელიდაურქევიათ. მართლაც, ზუსტად იმ ადგილას რიონი, ჯიჯიშორი და დიდლელის რუ ჯვარს ქმნის, რაც მიესადაგება დასახელებას - „ჯვარი წყლისა“. კოშკის ნანგრევი თლილი ქვებით აუგიათ სალოცავი, რომელმაც XX საუკუნის შუა ხანამდე მოაღწია.

მოდის მთინდა გიორგი

ეს სალოცავი კარგა შემაღლებულ ადგილზე აუგიათ ჩვენს წინაპრებს. მისი საძირკველი კარგადაა შემონახული. მის ახლოს შეიმჩნევა შოდის ციხესიმაგრის ნაშთებიც.

როგორც გავიგე, დების მაცხოვრის ეკლესიის ჯვარ-ხატების უმრავლესობა შოდაში ყოფილა დამზადებული. აქაურია შოდის ეკლესიის კუთვნილი ჯვარ-ხატიც. წმინდა გიორგის ტაძრის გაუქმების შემდეგ ეს სიწმინდეები მაცხოვრის ეკლესიაში დააბრძანეს. ერთ-ერთ მოოქრულ წმინდა გიორგის ვერცხლის ხატს ამშვენებდა წარწერა: „წმინდა გიორგი, შეიწყალე შოდელი კვირიკე ბერი წინაშე ქრისტესა“.

შოდელი ბერების ნახელავი ჯვარ-ხატები მართლაც მაღალი ოსტატობით გამოირჩეოდა.



მას შემდეგ, რაც შოდამ არსებობა შეწყვიტა, მისი მოსახლეობის ნაწილი დები შეუერთდა. ეკლესიის კუთვნილი განძეული კი დების მაცხოვრის (ციხიკარის) ეკლესიაში გადაიტანეს.

დების მაცხოვრის ტაძრის მშენებლობა რამდენიმე წლის წინ თავად დებელებმა იტვირთეს. მის დამთავრებას აღარაფერი აკლია. ტაძარი იმითაც არის მადლიანი, რომ მისი საძირკველი მისმა უწმინდესობამ აკურთხა.

„მისი უწმინდესობის ჩამობრძანებამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე, - დიდი სიყვარულით მიამბობს ბატონი ვახტანგ გობეჯიშვილი, - ყველას გვერცნიდა და გვლოცავდა. ჩემი მოსწავლეები ვაგალობე - „ქრისტე აღსდგა“. ასეთი გალობა არსად არ იციანო, - მითხრა გახარებულმა. ეს დღე არასდროს დაგვავიწყდება.“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევა შეეწიოს მთლიანად საქართველოს.

თევ ცაგურიშვილი

კულტურული კუნძული

საოცრიად დათბა. თბილი ჰავა ზამთრის ნარჩენ სუსხს ტოლს არ უდებს და სიცოცხლის აკანს, გაზაფხულს იქითა და ფურისულებით ნაირთერად მოქარგულ ფარიდაგს უმზადებს, გული ხალისობს, შეხედეთ ირგვლივ, სიცოცხლის ლიბრეტო ამეტყველებულა, ბუნება მშვენიერების საგალობელს ღილინებს, პალიტრა თვალს გდაცებს, მხატვრობის სურვილს აღგიძრავს... არ შეგიძლია?... კალამს დასწელები... გამოხატვის წყერილი გახრჩობს? აյ ბუნების მეხოტე პოეტების უკალავი ტაეპები გამიერევებს თვალწინ... .

ხარობს დედამიწა, სითბოსაგან გულდამზრალი, კუდმაჟრატელა მერცხლებიც თავიანთ ბუდეს უბრუნდებიან, ადამიანებს განსაკუთრებული მოლოდინი იძურობთ. უფლის აღდგომის სამზადისია, ორმოცდანი მარხვა ბოლოსუენ მიდის, ვნების კვირა დგება, მზის ფერი ბაიები თავს ბეჭნიერად გრძნობენ. ბზობა-ბიობა ახლოვდება. უფალმა ბზით ფერილი ბილიკი ვირზე ამხედრებულმა განვლო, ვირზე და არა ცხენზე, რაც მშვიდობის ნიშანა, მშვიდობა მოვცეს ლერთმა!

ამასობაში მორჩმუნენი თადარიგს იჭერენ, გაბრიელ მთავარანგელოზისგან ქალწელ მარიამისთვის იქსო ქრისტეს შობის სიხარულს გაიზიარებენ და შემდგომ ამისა 3 დღეში უფლის აღდგომას შეეგებებიან.

დიდი ფუსტელი და სამზადისია. მორჩმუნე ოჯახები წითელ პარასკევს კვერცხს ლებავენ და პასკას აცხობენ, იციან, რომ ამით უფალს ადიდებენ და ორშაბათს თავიანთ მიცვალებულებს ქრისტეს აღდგომას მიულოცვენ.

მეც ვჩეკარობ, რაჭა ჩემი წინაპრების საძვალეა, მივდივართ, ოჯახის წევრებთან ერთად გეზი მშობლიური უთხოსესუენ ავიღე.

გვიხარია, თითქოსგულისხმაავტომობილსაც ესმისო, ისიც კი ხალისით გარბის, უამრავი მოქითხვა, მილოცვა, მისატიქება-მოპატიქება, რაიონი თბილად გვხვდება, სოფელი ტყბილიაო, ამბობენ, იქ ხომ ჩვენი სისხლის და ხორცის ადამიანები მიგველიან.

გაზაფხულის სურნელში გახვეულა მთის რაჭის ბუნება, ძალა გამოცლილი ზამთარი ფეხარეფით მიიპარება, გათბა მიწა, ზამთრის სიცივისგან დათრგენელი სოფლის ხალხი ნელ-ნელა

„სანახმოსუენ“ მიემართება, ერთმანეთან შეხვედრის მონატრებულნი თბილად მუსაიფობენ და ქალაქიდან ჩასულ სტუმრებსაც ჩვეული გულებულით ეგბებიან.

ორშაბათია, მიცვალებულთა სულების მოხსენიების დღე. მთელი სოფელი საფლავებისუენ გაშერია. სურსათ-სანოვაგით დატვირთულნი ძლივს, კვნესა-კვნესით მიიჩევენ წინ, ზოგს ლვინით სავსე ჭურჭელი უჭირავს და სხვებისგან განსხვავებით უკიცვით მიხტის. საფლავები ხორავს დაუმძიმებია, გრძელ-გრძელი საფლეგრძელობით მიცვალებულთა სულები სწებან, რას იზამ, წესი წესია, მიცვალებულის პატივისცემასთან ერთად სხვისი წამხედურობის და მიმბაძველობის მავნე სენით ვართ შეცყრიბილნი. ეს ქართული ტრადიციაა, ჩვენი გარდაცვლილებიც ოდესლაც იგივეს აეთებდონენ.

მახსენდება ან. გარდაცვლილი ეპისკოპოსის მურთაზ ჩახავას სიტყვები:

გუშინ წვიმდა, დღეს კი ისევ დარია,
არის რამე ქვეყანაზე უცვლელი?

ეს ცხოვრება სრული კალენდარია
და ზოგისთვის მოხეული ფურცელი.

არავინ იცის ვისი ფურცელი როცის მოხევა და არც ის არის იოლად გასაგები, ქარიშხლიანი ცხოვრების ფონზე ვისთვის როგორ იბრუნებს დორის ქამათელი.

სალამო ხანს ოჯახებში მოიყარეს თავი. ხარობს ქვა, ბალახი, სიმარტოვისგან გახუნებული სახლ-ქარი და ეზო-ქარმილდამო. ეს ხანმოკლე სიხარულია. სამშაბათიდან სოფლად კვლავ სამარისებური სიჩუმე ისაფერებს. წინა დოლებისგან განსხვავებით, სოფელი დაფულებულ მაჭარს დამსგავსებია, ისევ ბოქლომდადებული სახლები, ისევ გაუკვალავი ბილიუები, ისევ ნაცრისფერი გარემო.

მეც უკან ვბრუნდები და უმალვე მ. ლებანიძის გენიალური ფოზები მახსენდება: „მეშინია ეს სამოთხე, ეს წალეოტი, სხვა არავინ მოვიდეს და დაიკავოს“.

მეშინია, მაგრამ შიში რომ სიქვდილს ვერ იხსნის, ეს შოთა რესტავრელმა გვასწავლა, ხოლო უპატრონო თხას რომ მგელი სჭამს, ეს კი ხალხურმა სიბრძნემ. დროა, ჩვენი კუთხის გადარჩენაზე ვითიქოთ!

6060 რესოუზილი



★★★

მარიობისთვის კონკურსის ციფა,
აგვისტოს ბოლოს დათვა მოვიდი
მოვარე აგორად, ბურუშიში ცურავე,
შორიდან ისმის გამმუდი სმები.
თოქოს სული გამრწიან მოვიდი
თოვლი და ჰაბში გაღდებისულები,
მეღდები ემუან ნაძრას აღიიღას
აღბათ შიშილით გათანგულები.
ზეგან გურაცოვან ნამოსდის ცრემლი,
აოხრდა სოფლის საგარეულო,
შესმა ახ წლის მუხა გააპი
შიძით შემამრა ვაჭალის სულები.

წითელმიანი „აღი“ გამოიდი
შემოტებია წელზე გამდები.
ანათებს კლას ტეის მოჩვენებას
აუწევია ცისკენ წელები.
გრძნინ ტეს ეგვარს იდემალები
გამოწილებილან ნისლის ჩავები,
პლევაზე წიმია ზღვად ენეოდება
თოქოს ბლაგიან დაბლა ხელი.
და როგორც ტესა მწერ გაანათა
ნაბრძოლი ტეს და მწარე ცელები
სულები გაქრნენ მათ შემინდათ
ჩადა დათვის და ანც ბეღვისი.

18 მარტი 2014

ახ შეგონა (ესტონი)

კაფასითის ლურჯ პირი ჩინტინგი წამოწილილან გათვის ბეღვისი,
მუდმივი თოვლი ქემეგვაბად აქვთ და საბანია თყორი ღრუბელი,
ნამდებლი იუო, ახ შეგონა ...

კე კანჭირის ლელა სულ მაღლა მთაბი
ჩვენი სახეეფი შებლზე ტეის ქოჩიო,
გამოქაბული მიუვალ კლდეზე
და საცურაო თქორი ქეიმებით-ნახატი იუო- ახ შეგონა...

თავები გადმართვე თეიის ზეინებთან

გამოწებილნი თვით წინსატრენში,
ბალაპას თიბავენ ცელით გლეხები
-სულ იცოცებულებზენ ახ შეგონა.
იპკ შექორინა შეხსიერებას უს ჩვენი გალო დაშის ბინდ-ბუნდში
შეფერავ კოცონი ზეის ნაკეტისალი
და სულ სულა იუო იმ მოპარული და მეგუწავი სიმინდის გემი
- ახ შეგონა ...

შეფერები შეედი შესლის ძირში მარიობისთვის ნისლიან დამზე
იმ აუწესობელ გატარის სიახე სულ კომლენებზე ახ შეგონა.
ჩემი სასახლე და კართველი, ცერცეი უნებში და მებუე წეალი
მესით გამსკდარი ჩიდი ჭავლის სე ჩემზე მაღიან არიან უკვარდა
- ახ შეგონა ...
კოცონიდი სასლის ლამაზ რიგულების, გამომშრალ ბომზე ლურმანს ჭანგიანს,
კნუქნიდი ბეჭედის, ბაჟობის ბეჭედის, დაჭარუნდებოდი-ახ შეგონა! ...

მაღლი გადახმა

დაღდა შაბათი, მამებს მოჯულით
კაროკალიან კართ ვეელა ბაჟებები.
შიწის ერის გადებოთ, იშმის სმაური
სისარულისგან ტოში აუსტებით.
ზემოდგან გერეავა მამას საბერის,
გორაქს სირილით ქავით ჩავებით.
ცეკვლივით შოხიან სოფლის შარა-გზა,
სიმინდები და ცერცის განები.

შექ აიწა, წეალი აღუდდა,
და გამოაღო მამამ კარები.
ჩვენც მიყვებებეთ და გაეისარეთ,
ამ გროს სმი ისმის ცხენის ნალების.
უ გავლინებია, ფოსტას ატარებს
შეედი შინელით, წერილი თვალებით.
შეისუნა და ჩვენც მოგვეხალმა
და თან გვიამბო სოფლის ამბები.
შექ დაბლაპების დელე პატარა,
გასაგრილებლად შიგნით ჩაჟებებით,
იქ სასახლიან დედა სულს გვიწვეს,
შორიდან მოხიან ჭრელი კაბები.
მართ ბებო და ჩემი ნარგიზი,
თვალების შემორჩინა მეგდი კაზრები...
ივლით 2012წელი



გორგა ენერგიები



ტელეცენტრი

აჩუქო ადამიანს სიკეთე და სიყვარული, გასცე სითბო და ანუგეშო ის, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება თანაგომა, იმის შეგრძნება, რომ მარტო არ არის — ეს უდიდესი მადლი და ბედნიერებაა, ისგანცდაა, რომლისგალებაც ბევრს არ შეუძლია. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი ბატონი გოჩა ენუქიძე ის ადამიანია, რომელსაც ღმერთმა სავსე გული და სპეტაკი სული უბოძა, მისცა ძალა სიკეთის კეთებისა და კარი გაუღო ღვთითკურთხეული სრულყოფილებისაკენ.

„უფლისგან ბევრი მოგვეცა და ბევრიც მოგვეთხოვება, ღვთისათვისყველაზედიდიმადლიგლახაკთადაგაჭირვებულთა შეწევნა და ნუგეშისცემაა...“ ბრძანებს უწმინდესი და უნეტარესი ილია II, მართლაც რა არის იმაზე დიდი ბედნიერება, როცა შეგიძლია შენი თუნდაც მცირედი თანადგომით ვიღაცას გული გაუთბო, ნუგეში სცე, ტვირთი შეუმსუბუქო.

ბატონი გოჩა ხომ ამ ყველაფრის ადრესატი და შემოქმედია. უფალმა დალოცოს თავის ოჯახთან ერთად. 8 აპრილს ბატონი გოჩა ენუქიძე იუბილარია. ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ბედნიერებას, კურთხეული და ღვთისგან დალოცვილი ყოფილიყოს მისი სავალი გზა.

„რაჭველები“-ს რედაქცია